პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК и ТК КП ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

№ 247 (9715) | კვირა, 18 ოქტომბერი, 1953 წ. | ფასი 20 კაპ.

დღეს ნომერშია:

საბჭოთა საქართველოს დღე (1-ლი გვერდი).
პარტიული ცხოვრება. — ფორმალიზმის ტყვეობაში (მე-2 გვერდი).
მოძმე ხალხთა მხატვრული ლიტერატურა. — შემოქმედებითი თანამეგობრობა (მე-2 გვერდი).
პრესის მიმოხილვა. — უინიციატივოდ, ზერელედ (მე-2 გვერდი).
მოსკოვი (მე-2 გვერდი).
საყურადღებო „წვრილმანები" (მე-3 გვერდი).
თბილისს დაშორებით. — მესტიის რაიონში (მე-3 გვერდი).
ვლ. ტრაპაიძე. — კაპიტალისტური ქვეყნების ბიუჯეტები ომის ბიუჯეტებია (მე-3 გვერდი).
ფელეტონი. — „ამერიკანკა" (მე-3 გვერდი).
პროფკავშირთა მესამე მსოფლიო კონგრესი (მე-4 გვერდი).
უშიშროების საბჭოში (მე-4 გვერდი).
გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მოსახლეობის ცხოვრების დონის შემდგომი ამაღლებისათვის (მე-4 გვერდი).
საბერძნეთ-ამერიკის შეთანხმების [illegible] (მე-4 გვერდი).
საფრანგეთის ეროვნულ კრებაში (მე-4 გვერდი).
კორეაში დაზავების გამო (მე-4 გვერდი).
თბილისი (მე-4 გვერდი).

ეროვნული დამოუკიდებლობისა და დემოკრატიულ თავისუფლებათა დასაცავად

ეროვნული დამოუკიდებლობისა და დემოკრატიულ თავისუფლებათა დაცვა კაპიტალისტური და კოლონიური ქვეყნების მუშათა კლასის ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი ამოცანაა. ამ ამოცანას დიდ ყურადღებას აქცევს პროფკავშირთა მესამე მსოფლიო კონგრესი, რომელიც მუშაობას განაგრძობს ვენაში.

„პური, სამუშაო, თავისუფლება, ეროვნული დამოუკიდებლობა და მთელ მსოფლიოში მშვიდობა — აი მთავარი საფუძვლები პროლეტარიატისა და ხალხის გაერთიანებისა, რასაც ჩვენ ვიცავთ.

ჩვენი აზრით, სწორედ პროფკავშირები უნდა იყვნენ ხალხის ამ ფართო გაერთიანების ინიციატორები და სათავეში ჩაუდგნენ მის ბრძოლას".

პროფკავშირთა მსოფლიო ფედერაციის თავმჯდომარის ჯუზეპე დი ვიტორიოს ეს სიტყვები ერთსულოვნად მოიწონა კონგრესმა.

კაპიტალისტური და კოლონიური ქვეყნების პროფკავშირული მოძრაობის წარმომადგენელთა წარმოთქმული სიტყვები ვენის კონგრესზე ცხადყოფენ, რომ ეროვნული დამოუკიდებლობისათვის ბრძოლაში, სხვა ქვეყნების ეკონომიკასა და პოლიტიკაში უცხოეთის მონოპოლიების ჩარევის წინააღმდეგ ბრძოლაში ებმებიან მშრომელთა სულ უფრო ფართო ფენები. ვენესუელაში, როგორც ნავთობის მრეწველობის მუშათა პროფკავშირის წარმომადგენელმა რონდონმა აღნიშნა, ძლიერდება საპროტესტო საგაფიცო მოძრაობა უცხოეთის მონოპოლიების ბატონობის წინააღმდეგ. ნორვეგიის სამშენებლო მრეწველობის მუშათა პროფკავშირის თავმჯდომარემ კრისტიანსენმა ილაპარაკა, თუ როგორ ირაზმებიან ნორვეგიის მშრომელები აგრესიული ჩრდილოეთ ატლანტიკის ბლოკის ორგანიზატორთა პოლიტიკისადმი ნორვეგიის დამორჩილების წინააღმდეგ ბრძოლაში.

ამერიკის მმართველი წრეების აგრესიული პოლიტიკა მიზნად ისახავს სხვა ქვეყნების ეკონომიურ და პოლიტიკურ დამონებას, მათი საშინაო და საგარეო პოლიტიკის დამორჩილებას ამერიკის შეერთებული შტატების მონოპოლიების დიქტატისადმი. მან გამოიწვია გამალებული შეიარაღება ამერიკის შეერთებულ შტატებსა და მათზე დამოკიდებულ ქვეყნებში, ამ ქვეყნების მთელი ეკონომიკის გარდაქმნა საომარ ყაიდაზე, ამერიკის სამხედრო ბაზების შექმნა სხვის ტერიტორიებზე და ამ ტერიტორიებზე ამერიკის ჯარების ყოფნა. ამ პოლიტიკამ პირველ რიგში ლახვარი ჩასცა კაპიტალისტური ქვეყნების მუშათა კლასის საარსებო ინტერესებს, მას არ შეეძლო აგრეთვე გავლენა არ მოეხდინა გლეხობისა და მოსახლეობის სხვა ფენების მდგომარეობის მკვეთრად გაუარესებაზე. კოლონიურ ქვეყნებში ასეთი პოლიტიკა ნიშნავს უცხოეთის ბატონობის გაძლიერებას, ორმაგ კოლონიურ ჩაგრას დამონებული ხალხებისათვის.

ამერიკის მონოპოლიები იმ მთავრობებისაგან, რომლებიც ამერიკის შეერთებულ შტატებთან დაკავშირებული არიან კაბალური ეკონომიური და სამხედრო ვალდებულებებით, მოითხოვენ ცალმხრივი ეკონომიური ურთიერთობის პოლიტიკის განხორციელებას. ისინი სხვა კაპიტალისტური ქვეყნების ეკონომიკაში პარპაშობენ ეგრეთწოდებული „უშიშროების ურთიერთ უზრუნველყოფის პროგრამის" და სხვა ასეთ ღონისძიებათა დახმარებით, ხელს უშლიან საბჭოთა კავშირთან, ჩინეთთან სახალხო რესპუბლიკასთან და სხვა დემოკრატიულ სახელმწიფოებთან ამ ქვეყნების სავაჭრო ურთიერთობას.

ამერიკის მონოპოლიების დიქტატისადმი დამორჩილების პოლიტიკა, რასაც კაპიტალისტური ქვეყნების მმართველი წრეები იხორციელებენ, იწვევს სამოქალაქო წარმოების შეკვეცას, მშრომელთა ცხოვრების დონის შემდგომ დაქვეითებას, უმუშევრობის ზრდას. ამერიკის მონოპოლიების აღვირახსნილი ეკონომიური ექსპანსიის შედეგად შექმნილმა პირობებმა გავლენა მოახდინეს აგრეთვე მთელი რიგი კაპიტალისტური ქვეყნების წვრილი და საშუალო ბურჟუაზიის მდგომარეობაზე. ამ ქვეყნების ზოგიერთი კაპიტალისტური წრეებიც კი, რომლებიც არ მონაწილეობენ ამერიკის მონოპოლიების მოგების გაყოფაში, სულ უფრო აშკარად გამოთქვამენ უკმაყოფილებას ეროვნულ საქმეებში უცხოელთა ჩარევის გამო.

როგორც დი ვიტორიომ თავის მოხსენებაში აღნიშნა, მუშათა კლასი, რომელიც განსახიერებს ერის ყველაზე მოწინავე, სიცოცხლისუნარიან და ჯანსაღ ძალებს, იბრძვის რა თავისი ინტერესებისათვის, ამასთან ერთად ბრძოლას ეწევა თავისი ქვეყნის ეროვნული ინტერესებისათვის. პროფკავშირთა ამოცანა ის არის, რომ თავის გარშემო გააერთიანონ მოსახლეობის უაღრესად ფართო ფენები, რომელთა ინტერესებს საფრთხეს უქმნის ამა თუ იმ ქვეყნის ეკონომიურ და პოლიტიკურ ცხოვრებაში უცხოეთის იმპერიალიზმის ჩარევა. პროფკავშირთა ასეთი საქმიანობა ხელს უწყობს ეროვნული დამოუკიდებლობისათვის, მონოპოლიების ანტახალხური პოლიტიკის წინააღმდეგ ბრძოლის უაღრესად ფართო ფრონტის პირობების შექმნას.

ეროვნული დამოუკიდებლობისათვის ბრძოლათან განუყრელად დაკავშირებულია აგრეთვე პროფკავშირთა ამოცანები დემოკრატიულ თავისუფლებათა დაცვის საქმეში. საერთაშორისო აგრესიული წრეები, ახორციელებენ რაიმის მომზადებას, აგრესიული ბლოკების შეკოწწებას, სხვა ქვეყნების დამორჩილებისა და დამონების პოლიტიკას, ისწრაფვიან ყველა კაპიტალისტურ ქვეყანაში შემოიღონ უაღრესად რეაქციული რეჟიმი, ახორციელებენ სახელმწიფო აპარატის ფაშიზაციას, დევნიან ყველა დემოკრატიულ ორგანიზაციასა და მშრომელთა გაერთიანებებს. კონგრესზე გამოქვეყნდა ამერიკის შეერთებული შტატების ტყვეულისა და ბეწვეულის მრეწველობის მუშათა პროფკავშირის თავმჯდომარის ბენ გოლდისა და ამ პროფკავშირის მდივნის პიეტრო ლიუჩის წერილი, რომელშიც ნათქვამია, რომ პროფკავშირულ მოძრაობას ამერიკის შეერთებულ შტატებში და განსაკუთრებით პროგრესულ პროფკავშირებს სისტემატურად სდევნიან. საფრანგეთში ხელისუფლება დიდ ხანს ჰყავდათ საპყრობილეში პროფკავშირთა მსოფლიო ფედერაციის ვიცე-თავმჯდომარე ალენ ლე ლეპაი და საფრანგეთის შრომის საყოველთაო კონფედერაციის მდივანი ლუსიენ მოლინო. მხოლოდ საფრანგეთის საზოგადოებრიობის ფართო ფენების ზეგავლენით გაათავისუფლეს ისინი.

კაპიტალისტური ქვეყნების რეაქციული მმართველი წრეები, რომლებმაც აიღეს დემოკრატიულ თავისუფლებათა მოსპობის გეზი, ცდილობენ ლახვარი ჩასცენ პროფკავშირებს, როგორც ყველაზე მასობრივ სახალხო ორგანიზაციებს. კაპიტალისტური მონოპოლიები ისწრაფვიან წაართვან მშრომელებს თავიანთი ეკონომიური და პოლიტიკური ინტერესების დაცვის კოლექტიური მოქმედების უფლება და პირველ რიგში გაფიცვის უფლება. ფაშისტმმართველთა მაგალითისამებრ ისინი ცდილობენ წაართვან პროფკავშირებს დამოუკიდებლობა, დაუმორჩილონ ისინი მთავრობის ორგანოებს, რომლებშიც ყველაზე პასუხსაგები პოსტები იმავე მონოპოლიების წარმომადგენლებს უკავიათ.

ისტორიის გამოცდილება გვასწავლის, რომ, დაიწყეს რა პროფკავშირულ თავისუფლებათა ლიკვიდაციით, ხელისუფლების სათავეში მდგომი მონოპოლისტური ჯგუფები ამის შემდეგ იწყებენ ყველა სხვა დემოკრატიული თავისუფლების ლიკვიდაციასაც. ამ გზას უკვე აშკარად დაადგა ადენაუერის მილიტარისტული ხროვა დასავლეთ გერმანიაში. ბონის მთავრობა სპობს ხალხის დემოკრატიულ უფლებებს, საპარლამენტო ათავსებს პროგრესულ მოღვაწეებს. დასავლეთ გერმანიის ბუნდესტაგმა მიიღო ანტიპროფკავშირული „კანონი საწარმოებში მუშათა მდგომარეობის შესახებ", რომლითაც საფაბრიკო-საქარხნო კომიტეტების წევრები, რომლებიც მშრომელთა უფლებების დასაცავად გამოდიან, დათხოვნილ უნდა იქნან. დასავლეთ გერმანიის ხელისუფალთა ღონისძიებანი, რომლებიც მიმართულია პროფკავშირთა წინააღმდეგ, გერმანიის მილიტარიზმისა და ფაშიზმის აღორძინების მათი ანტახალხური პოლიტიკის შემადგენელი ნაწილია.

პროფკავშირთა უფლებების დაცვა განუყრელად დაკავშირებულია დემოკრატიულ თავისუფლებათა და მშვიდობისათვის საერთო ბრძოლასთან. ყველა ისინი, ვინც კაპიტალისტურ ქვეყნებში იბრძვის კონსტიტუციურ უფლებათა, პიროვნების, პრესის, თავისუფლების დასაცავად, იბრძვის რასობრივი და სხვა დისკრიმინაციის წინააღმდეგ, განზე ვერ გაუდგებიან პროფკავშირთა უფლებების დაცვის საქმეს. ამ უფლებათა დაცვა დემოკრატიულ თავისუფლებათა უზრუნველყოფის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი პირობაა. პროფკავშირები რეაქციული ძალების შეტევისაგან დემოკრატიულ თავისუფლებათა დაცვით განამტკიცებენ თავიანთ კავშირს მთელ ხალხთან, აწყობენ ფართო ეროვნულ მოძრაობას, ურომლისოდაც დემოკრატიული თავისუფლებანი გათელილი და მოსპობილი იქნებოდა.

კონგრესმა ცხადყო კაპიტალისა და კოლონიური ჩაგვრის ქვეყნებში მილიონობით ორგანიზებული მშრომელის ნება მაღლა აღმართოს ეროვნული დამოუკიდებლობისა და დემოკრატიული თავისუფლებებისათვის ბრძოლის დროშა.

მუშათა მოძრაობის ისტორიაში მშრომელთა ამ ყველაზე უფრო წარმომადგენლობითი საერთაშორისო კრების დელეგატები თავიანთ სიტყვებში აღნიშნავდნენ, რომ დიდი ისტორიული წარმატებანი, რომლებიც საბჭოთა კავშირმა ბედნიერი, თავისუფალი ცხოვრების მშენებლობის საქმეში მოიპოვა, სახალხო დემოკრატიის ქვეყნების მშრომელთა წარმატებანი ძალასა და რწმენას მატებენ კაპიტალისტური და კოლონიური ქვეყნების პროფკავშირული მოძრაობის მებრძოლებს მათს ყოველდღიურ მუშაობაში. ბრიტანეთის გვიანის დელეგატმა რამ კარანმა კონგრესზე თქვა: „ძვირფასო ამხანაგებო, ჩვენ, მონობაში მცხოვრებნი, სიამაყით და აღტაცებით შევცქერით საბჭოთა კავშირის მიღწევებს, სახალხო ჩინეთისა და სახალხო დემოკრატიის ქვეყნების წარმატებებს, რომლებიც მოპოვებულია ესოდენ მოკლე ხანში. ისინი მამაცობასა და შემდგომ ბრძოლის მისწრაფებას გვინერგავენ".

ეჭვი არ არის, რომ კაპიტალისტური, კოლონიური და დამოკიდებული ქვეყნების ხალხები მოიპოვებენ წარმატებას საარსებო ინტერესებისათვის, ეროვნული დამოუკიდებლობისათვის, დემოკრატიული თავისუფლებებისათვის, მშვიდობისათვის სამართლიან ბრძოლაში, და ვერავითარი ძალა ვერ შეაჩერებს მათს წინსვლას.

„პრავდის" 17-X მოწინავე.

საბჭოთა საქართველოს დღე

მთელი ძალები პარტიის ცენტრალური კომიტეტის სექტემბრის პლენუმის გადაწყვეტილებათა შესრულებას!



მშობლიური პარტიის მოწოდების პასუხად სოფლის მეურნეობის მრავალმა სპეციალისტმა და კვალიფიციურმა მუშაკმა განაცხადა სურვილი წავიდეს მტს-ებში მუდმივ სამუშაოდ. **სურათზე:** (მარცხნიდან მარჯვნივ): მაიაკოვსკის მტს-ის დირექტორი გ. ფაჩუაშვილი მუდმივ სამუშაოზე მოსული აგრონომ დ. ლაჭყეპიანს, ხარატ-ელექტროშემდუღებელ ვ. მშვილდაძეს და აგრონომ მ. ცერცვაძეს აცნობს მტს-ის მეურნეობას.

ფოტო პ. ლუცენკოსი.

★ მეჯაღურგიული ქარხნის მაგალითი

რუსთავი. (საკ. კორ.). სტალინის სახელობის ამიერკავკასიის მეტალურგიული ქარხნის პარტიული კომიტეტის ინიციატივით ქარხნის კოლექტივმა გადაწყვიტა შეფობა გაუწიოს გარდაბნის მტს-ის მექანიზატორებს. მოწვეულ იქნა ქარხნის სპეციალისტთა თათბირი, რომელსაც დაესწრნენ გარდაბნის მტს-ის დირექტორი გ. დევდარიანი და მექანიკოსი ალ. ჩხიკვაძე. მეტალურგიულ ქარხანასა და მტს-ს შორის დაიდო ხელშეკრულება, რის მიხედვითაც ქარხნის კოლექტივი ვალდებულებას კისრულობს მტს-ის მექანიზატორებს ყოველმხრივ დაეხმაროს სასოფლო-სამეურნეო იარაღ-მანქანების ნაწილების დამზადებასა და შეკეთებაში.

ახლო ხანში მეტალურგიული ქარხნის სარემონტო-მექანიკური საამქროს სპეციალისტები მტს-ს დიდი რაოდენობით დაუმზადებენ სხვადასხვა სახის დეტალებს.

მაღაროელები ეხმარებიან სოფელს

ჭიათურა. (საკ. კორ.). მარგანეცის ტრესტს საკმაოდ მძლავრი ცენტრალური მექანიკური სახელოსნო აქვს. იგი აღჭურვილია საუკეთესო ტექნიკით, ჰყავს მაღალკვალიფიციური კადრები. ამავე დროს ჭიათურისა და საჩხერის რაიონებში არის ახალი მტს-ები, რომლებსაც დახმარება ესაჭიროებათ. ცენტრალური მექანიკური სახელოსნო ამ მტს-ებს ხშირად უმზადებს ტრაქტორების სათადარიგო ნაწილებს.

პარტიის ცენტრალური კომიტეტის სექტემბრის პლენუმის დადგენილების საპასუხოდ მექანიკური სახელოსნოს კოლექტივმა გადაწყვიტა შეფობა გაუწიოთს ჭიათურის მანქანა-ტრაქტორთა სადგურს. მექანიკური სახელოსნოს კოლექტივი მტს-ს დაუმზადებს მანქანა-ტრაქტორთა სადადარიგო ნაწილებს, მიაწვდის შავსა და ფერად ლითონს, საწვავ მასალას, აგრეთვე დაეხმარება კვალიფიციური ხარატებითა და ზეინკლებით.

დიდდება მაღალხარისხოვანი ღვინოების გამოშვება

წელს საქართველოს მევენახეებმა ყურძნის უხვი მოსავალი მოიყვანეს. სრული დატვირთვით მუშაობს აღმოსავლეთ საქართველოს ყველა ღვინის ქარხანა. მუშაობას შეუდგა ზესტაფონის ღვინის ქარხანა. ყურძნის გადამუშავების სეზონის დასაწყისისათვის მწყობრში ჩადგნენ კაჭრეთის, ქუთაისისა და მაიაკოვსკის პირველადი მეღვინეობის ახალი ქარხნები.

მეღვინეობის საწარმოებმა უკვე გადაამუშავეს 37 ათას ტონაზე მეტი უმაღლესი ხარისხის ყურძენი „რქაწითელი", „საფერავი" და სხვ. მიმდინარე სეზონში გადამუშავდება 42 ათას ტონაზე მეტი ყურძენი.

სამტრესტის საწარმოები მნიშვნელოვნად აფართოებენ პროდუქციის გამოშვებას. წელს დამზადდება 400 ათასი დეკალტრით მეტი ღვინო-მასალა, ვიდრე შარშან. განსაკუთრებით მატულობს მაღალხარისხოვანი მარკის ღვინოების წარმოება. ამ ღვინოებს გამოუშვებენ 100 ათასი დეკალტრით მეტს, ვიდრე გასულ წელს. მნიშვნელოვნად გადიდდება კონიაკის გამოშვება შარმანდელთან შედარებით.

ახალი მოსავლის შაქარი

აბარა. (საკ. კორ.). აგარის შაქრის ქარხანამ დაიწყო ახალი მოსავლის შაქრის ჭარხლის გადამუშავება. 14 ოქტომბრისათვის ქარხანამ უკვე გამოუშვა 1.000 ცენტნერზე მეტი მაღალი ხარისხის ფხვნილი შაქარი.

მომლგე პუნქტებში განუწყვეტლივ მოდის შაქრის ჭარხალი. მარტო აგარის მიმღებ პუნქტში მიღებულია ნახევარ მილიონ ცენტნერზე მეტი ჭარხალი.

ხე-ტყე გეგმის გაღამეტებით

ახმეტა. (საკ. კორ.). ახმეტის ხეტყის სახერხმა ქარხანამ 9 თვეში გეგმის გადამეტებით 5.000 კუბური მეტრი ხე-ტყის მასალა დახერხა. ქარხანამ როსტოვის სასოფლო-სამეურნეო მანქანების ქარხანას დიდი რაოდენობით გაუგზავნა დეტალები. ვენური სკამების დასამზადებლად მარელისის ქარხანას 1.369 კუბური მეტრი მასალა გაეგზავნა, ნაცვლად 950 კუბური მეტრისა. დიდი რაოდენობით გაეგზავნა მასალა აგრეთვე თბილისის საავეჯო ფაბრიკას.

★ კარგოფილის უხვი მოსავალი

ქარელი. (საკ. კორ.) ქარელის რაიონის კოლმეურნეობებში წელს კარტოფილი დათესილი იყო 176 ჰექტარზე. მეტ წილ კოლმეურნეობებში სერიოზული ყურადღება მიაქციეს კარტოფილის დამუშავებასა და მოვლა-პატრონობას, გამოიყენეს მინერალური სასუქი და კარგ წარმატებას მიაღწიეს მოსავლიანობის გადიდების საქმეში.

სოფელ ლეთეთის კოლმეურნეობამ კარტოფილის ამოღება უკვე დაამთავრა. თვითეულ ჰექტარზე მიღებულია საშუალოდ 180 ცენტნერი კარტოფილი ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 125 ცენტნერისა.

პირუტყვის საჯგომები, სასიღოსლეები

ლაგოდეხი. (სპეც. კორ.). სოფელ ბუდიონოვკის ბუდიონის, ცოდნისკარის ძერძინსკის, კალინოვკის კალინინის სახელობის კოლმეურნეობებში და სოფელ შრომის კოლმეურნეობა „ლენინის ანდერძში" დამთავრდა ღორებისათვის სტანდარტული ბინების მშენებლობა. თვითეული ბინა გათვალისწინებულია 140 ღორისათვის.

რაიონის კოლმეურნეობებში წელს აშენდა ასობით ტონა ტევადობის ექვსი სასილოსე ნაგებობა. აქედან 200 ტონის ტევადობის სასილოსე აგებულია კოლმეურნეობა „ლენინის ანდერძში".

კვლავ ტრაქტორის საჭესთან...

სერგო არჩვაძის დანახვა ყველაზე მეტად ნესტორ ქელეხსაშვილს გაეხარდა. მან მეგობარს მაგრად ჩამოართვა ხელი და დირექტორს კაბინტისაკენ წაუძღვა.

— აღარად გამოჩნდი, რაზე გვემდურები, კაცო? — ეუბნებოდა ნესტორი ახლად მოსულს და საყვარულით ურტყამდა ხელს მხარზე.

სტუმარი დუმდა. მას ადონდებოდა ნესტორ ქელეხსაშვილთან ერთად მონდვრად გატარებული დღეები.

სერგო არჩვაძე პატივისცემით სარგებლობდა მეგობარ მექანიზატორთა შორის. როცა მინდვრის საპასუხისმგებლო სამუშაოები იწყებოდა, ნესტორი და სერგო კარგა ფაღავნებივით გადახედავდნენ ერთმანეთს, სოციალისტურ შეჯიბრებაში ებმებოდნენ. ჩაღდებოდა დაძაბული შრომა. ხან ერთი იყო წინ, ხან მეორე.

ძველი „მოქიშპის" დანახვამ ძალიან გაახარა ქელეხსაშვილი. ვიდრე მეგობრები ქსუსის მტს-ის დირექტორის კაბინეტამდე მივიდოდნენ, გულახდილი საუბარი გაიბეს.

— შეცდომა ჩავიდინე! — ამბობდა სერგო. — მართალია, ხელსაყრელი პირობები არა გვქონდა, მაგრამ მტს-ი არ უნდა მიმეტოვებინა, რაკი წავედი, მერე დაბრუნება მეუხერხულებოდა, თორემ გული მტკიოდა. გიყურებდით, მინდორში რომ მუშაობდით, მოტორის გუგუნი მოსვენებას არ მაძლევდა. შენ ხომ იცი, ძმაო, რა შეყვარება იცის მანქანამ.

სერგოს რომ მეტი აღარაფერი ეთქვა, ქელეხსაშვილისათვის უკვე გასაგები იყო; რა გადაწყვეტილებით მოვიდა იგი მტს-ში, მიუხედა მეგობარს და გაამხნევა.

— შენი ნაბიჯი გამონაკლისი არ იყო. დარწმუნებული ვარ, პარტიის ცენტრალური კომიტეტის სექტემბრის პლენუმის გადაწყვეტილება წაიკითხე.

— წავიკითხე, წავიკითხე, — დაუდასტურა მან. — აკი ამიტომაც ვძლიე უშნო თავმოყვარეობა. მინდა შეცდომა გამოვასწორო და დავბრუნდე! ტრაქტორის საქე მომენატრა!

დირექტორმა გულთბილად მიიღო მექანიზატორი. მოუსმინა და მისი თხოვნა დაკმაყოფილა.

ამხანაგებმა, რომლებიც სერგო არჩვაძეს კართან ელოდებოდნენ, მიულოცეს.

— მეორე ტრაქტორისტი რომ არა გვყავდა, ორ ცვლად ვერ ვმუშაობდით, — პირდაპირ საქმეზე გადავიდა ნესტორ ქელეხსაშვილი.

სერგო არჩვაძემ მალე მიიღო განკარგულება. დაიწყო მუშობა სწორედ ამ ტრაქტორზე, რომელსაც ნესტორი მართავდა. მანქანას ორ ცვლად უნდა ემუშავა.

— ცვლაში 5,5 ჰექტარი უნდა მოვხნათ! — გაახსენა სერგოს საბრძოლო ციფრი ნესტორმა.

არჩვაძისათვის გასაგები იყო — ნესტორი შეჯიბრებაში იწვევდა.

განახლდა მათი შეჯიბრება.

კოსტა აბაევი, რომელიც არჩვაძესთან ერთად მუშაობს მისაბმელ მანქანაზე, მექანიზატორებს მოუთხრობს:

— სერგოს მუშობას რომ ვუკვირდები, არა მჯერა, რომ მას კარგა ხანია ტრაქტორზე არ უმუშავნია და სადმე კვალიფიკაციის ასამაღლებლად არ ყოფილა. რა მადლიანად მუშობს!

ტრაქტორისტი კი ფიქრობს, სიტყვას საქმე სჯობიაო. იგი გადაჭარბებით ასრულებს ხნვის დღიურ დავალებას. მეგობრის ბრიგადა წარმატებებმა მუშობის უკეთ მოწყობა უკარნახა ნესტორ ქელეხსაშვილსაც. ისინი საგულდაგულოდ უვლიან ძვირფას მანქანას, რომელიც ვეკაცებს საშუალებას აძლევს ღირსეულად დგადელი დაიკავონ ახალი ამოცანის შესრულებისათვის მეგრძოლთა სახელოვან რაზმში.

ვ. ბელაშვილი,
„კომუნისტის" საკუთარი კორესპონდენტი.

საშემოდგომო თესვა საფრთხეშია

თავისებური პირობებია თეთრი წყაროს რაიონის მანგლისის ზონაში. აქ თითქმის ერთმანეთს ემთხვევა მოსავლის აღება და საშემოდგომო ხვნა-თესვა. ამიტომ მექანიზატორები და კოლმეურნეები მუშაობაში უფრო მეტ ორგანიზებულობასა და დაჯაზმულობას უნდა იჩენდნენ. რაიონის ხელმძღვანელი მუშაკები ვალდებულნი არიან კონკრეტული დახმარება გაუწიონ მათ. მაგრამ, სამწუხაროდ, ასე როდია. ამას ნათლად მოწმობს მანგლისის კალინინის სახელობის კოლმეურნეობის მაგალითი (თავმჯდომარე ვ. მაჩაბელი). აქ ჯერ ხვნა არ დაუმთავრებიათ, პურეულის ლეწვაც ჭიანურდება. ხელით აღებული პურეულიდან ოთხი ტონა მარცვლეული გალეწეს!

ჩამორჩენის ნამდვილი მიზეზი ის არის, რომ მანგლისის მტს-მა დროულად ვერ უზრუნველყო კოლმეურნეობა სალეწი მანქანით. კოლმეურნეობას თესლიც არ გააჩნდა. ამას დაემატა ისიც, რომ მტს-ის მიერ მიტანილი სათესი მანქანა წესრიგზე არ იყო. იგი შეაკეთეს კოლმეურნეობის სამჭედლოში. ძლივსძლივობით დაათესა 4 ჰექტარი. ამის შემდეგ სამ კვირაზე მეტია უმოქმედოდ დგას მინდორში. ასეთი მდგომარეობა მანგლისის მტს-ის დირექტორს ვ. გოგუაძეს ნაკლებად აწუხებს.

კოლმეურნეობა ცუდად იყენებს შინაგან საშუალებებს. ეს იქიდანაც ჩანს, რომ საკუთარი ძალებით გალეწილია მხოლოდ 7 ჰექტარზე მომკილი პურეული და დათესილია 39 ჰექტარი. მსგავსი მდგომარეობაა მანგლისის მტს-ის მომსახურების მთელ რიგ კოლმეურნეობებში.

მოსავლიანობის გადიდება დიდად არის დამოკიდებული სატრაქტორო სამუშაოთა ხარისხზე. მტს-ის მიერ შესრულებული სამუშაოების მნიშვნელოვანი ნაწილი უხარისხოა. მანგლისის კიროვის სახელობის კოლმეურნეობის მინდვრებში მეოთხე სატრაქტორო ბრიგადის ტრაქტორისტი დავით წიკლაური „დტ-54" მარკის ტრაქტორით ზერელედ თესავდა. უხარისხოდ მოხნულ ანეულზე და საშემოდგომო ნახნავზე თესვისწინა სამუშაოები მტს-ს არ ჩაუტარებია. ამ მხრივ კიროვის სახელობის კოლმეურნეობა გამონაკლისი როდია. მსგავსი მდგომარეობაა სოფელ დიდი თონეთის კოლმეურნეობაშიც, რომელსაც მტს-ის მეორე სატრაქტორო ბრიგადა ემსახურება (ხელმძღვანელი ს. ლოლიაშვილი). ამ ბრიგადის ტრაქტორისტებმა გ. გოგიშვილმა და მ. შავიშვილმა 9 ოქტომბერს ოთხი ჰექტარი ნასიმინდარი უხარისხოდ მოხნეს. სიმინდის ღეროები არ ჩახნეს ნიადაგში, ხოლო 10 ჰექტარი უხარისხოდ დათესეს. მათ ცუდად მოუხნეს მიწები სოფელ პატარა თონეთის კოლმეურნეობას. 10 ოქტომბერს ტრაქტორისტები სამუშაოდ 11 საათზე გავიდნენ, რაც იმას მოწმობს, რომ მტს-ში შრომის დისციპლინა დაბალია.

მტს-ის მომსახურების კოლმეურნეობები სუსტი კონტროლის გამო ხშირად დანაშაულს სჩადიან. თესავენ გუდაფშუტით დაავადებულ თესლს. მაგალითად, პირველი სატრაქტორო ბრიგადის ტრაქტორისტს ს. მარკელოვს, რომელიც ორეთის მოლოტოვის სახელობის კოლმეურნეობაში მუშაობდა, სათესის ყუთში გუდაფშუტიანი თესლი ეყარა და ისე თესავდა. მანგლისის ზონაში მოსავლის დიდი ნაწილი დაავადებულია გუდაფშუტით და ხშირია დაავადებული თესლით თესვის შემთხვევები. ამ აღმაშფოთებელ მდგომარეობას რატომღაც ურიგდება რაისაბჭოს აღმასკომის სოფლის მეურნეობისა და დამზადებათა სამმართველოს უფროსი ამხ. წიკლაური.

აღსანიშნავია, რომ მტს-ში მანქანებს სრული დატვირთვით ვერ იყენებენ. ტრაქტორების მნიშვნელოვანი ნაწილი ხშირად გაჩერებულია ცუდი შეკეთებისა და ტექნიკური მოუწესრიგებლობის გამო. მაგალითად, „დტ-54" მარკის ტრაქტორით ტრაქტორისტმა ტატუაშვილმა 10 სამუშაო დღეში მხოლოდ 23 ჰექტარი მოხნა.

მტს-ის სატრაქტორო ბრიგადების ტექნიკური მომსახურებაც ცუდად არის მოწყობილი, აკლიათ მექანიკოსთა კადრები, არა აქვთ საველე მოძრავი სახელოსნოები. ამის გამო ნაწილის დაზიანების შემთხვევაში ტრაქტორისტებს უხდებათ წასვლა შორს — მტს-ის სარემონტო სახელოსნოში.

საკვირველია, რატომ არ აღელვებთ ეს მდგომარეობა პარტიის თეთრი წყაროს რაკომისა და რაისაბჭოს აღმასკომის მუშაკებს?

რ. დავითური,
„კომუნისტის" საკ. კორესპონდენტი.

ბრძანებულება

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

საქართველოს სსრ მესამე მოწვევის უმაღლესი საბჭოს მეხუთე სესიის მოწვევის შესახებ

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი ადგენს:

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს მოწვეულ იქნას საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის მესამე მოწვევის უმაღლესი საბჭოს მეხუთე სესია 1953 წლის 29 ოქტომბერს ქალაქ თბილისში.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის მოადგილე
დ. დავითაია.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი
თ. ქვლივიძე.

ქ. თბილისი. 1953 წ. 17 ოქტომბერი.

პარტიული ცხოვრება

ფორმალიზმის ტყვეობაში

პარტიული მუშაობა ცოცხალი, შემოქმედებითი მუშაობაა. ამიტომ თვითეული ხელმძღვანელი პარტიული მუშაკი მოვალეა ხშირად იმყოფებოდეს ადგილებზე — საწარმოებში, კოლმეურნეობებში, იქ, სადაც წყდება ჩვენი ღონისძიებებისა და გეგმების ბედი. პარტიის წულუკიძის რაიკომს ვერ ვუსაყვედურებთ, რომ მისი მუშაკები იშვიათად მიდიოდნენ ადგილებზე. მაგრამ ცუდი ის არის, რომ ადგილებზე ყოფნისას ისინი უმეტესად ცნობების შეგროვებით კმაყოფილდებიან, არ სწავლობენ კოლმეურნეობებისა და პირველადი პარტიული ორგანიზაციების ცხოვრებას და მუშაობის გაუმჯობესების მიზნით საჭირო დახმარებას არ უწევენ მათ. ამის მოწმობს სოფელ გელავერის კოლმეურნეობისა და მისი პარტიული ორგანიზაციის მაგალითი.

მიმდინარე წლის განვლილ პერიოდში ამ სოფელში რამდენჯერმე იყვნენ პარტიის რაიკომის მუშაკები, მაგრამ არც ერთი მათგანი არ დაინტერესებულა, თუ რატომ ჩამორჩება კოლმეურნეობა, ან როგორ მუშაობს პარტიული ორგანიზაცია. მათ ყოფნას არავითარი გავლენა არ მოუხდენია როგორც კოლმეურნეობის, ისეგე მისი პარტიული ორგანიზაციის მუშაობაზე. ფაქტები კი ცხადყოფენ, რომ აქ ყველაფერი რიგზე არ არის. პარტიული ორგანიზაცია (მდივანი მ. ბუაძე) ზერელედ ეკიდება კოლმეურნეობის საქმეებს, შემოთხვევიდან შემოთხვევამდე ეწევა მასობრივ-პოლიტიკურ მუშაობას.

მიმდინარე წლის მაისში პარტიულ კრებაზე საგაზაფხულო სამუშაოების მიმდინარეობის შესახებ მოისმინეს კოლმეურნეობის თავმჯდომარის მოხსენება. ოქმში არაფერი არ არის აღნიშნული, თუ რა თქვა მომხსენებელმა, დადგენილებაში კი ყველაფერი კოლმეურნეობის თავმჯდომარეს აქვს დავალებული. ასეთი ღონისძიება, რასაკვირველია, შედეგს ვერ გამოიღებდა. ასეც მოხდა: კოლმეურნეობამ საგაზაფხულო სასოფლო-სამეურნეო სამუშაოები აგროტექნიკური ვადების დარღვევით შეასრულა.

ხშირად პარტიული ორგანიზაცია ისეთ საკითხებს განიხილავს, რომელნიც მის უფლება-მოვალეობას აღემატება, და ამის გამო არასწორი გადაწყვეტილებანი გამოაქვს. მაგალითად, აგვისტოში პარტიულ კრებაზე კოლმეურნეობის სარევიზიო კომისიის შემადგენლობიდან გამოიყვანეს ს. ხაჭაპურიძე და მ. კუხალაშვილი და მათ ნაცვლად ახალი წევრები აირჩიეს ისე, რომ ამის შესახებ კოლმეურნეობის წევრთა საერთო კრებას არაფერი ჰკითხეს. ამავე კრებაზე იმსჯელეს ყანის მცველებისათვის შრომადღეების დარიცხვის შესახებ. ეს ფაქტები მოწმობენ, რომ პირველადს პარტიულ ორგანიზაციას არასწორად აქვს გაგებული კოლმეურნეობის გამგეობის საქმიანობისადმი კონტროლის უფლება.

წელს პარტიულმა ორგანიზაციამ რამდენჯერმე იმსჯელა მეცხოველეობის საკითხებზე, მაგრამ ამჯერადაც სპკითხი ფორმალურად განიხილეს და ამის გამო მიღებულ გადაწყვეტილებებს შედეგი არ მოჰყოლია. კოლმეურნეობას აკლია 12 ძროხა, 24 ღორი, 19 თხა. წელს თვითეულ საფურაჟე ძროხაზე მიღებულია 175 ლიტრი რძე ნაცვლად წლიური გეგმით გათვალისწინებული 750 ლიტრისა. არადამაკმაყოფილებელი მდგომარეობაა ნამატის შენარჩუნებისა და გამოზრდის საქმეშიც. სათანადო ყურადღება არ ექცევა პირუტყვისათვის საკვების დამზადებას. სილოსი ნაცვლად 500 ცენტნერისა ჩადებულია 180 ცენტნერი, თივა დამზადებულია 50 ცენტნერი, გეგმა კი 150 ცენტნერის დამზადებას ითვალისწინებს. ჩამორჩენაა ჩაის მწვანე ფოთლის კრეფის გეგმის შესრულებაშიც. წლიური გეგმა განაღდებულია მხოლოდ 12 პროცენტით. კოლმეურნეობის თავმჯდომარე ვ. ჩარგეიშვილი თავს ვერ ართმევს მინდობილ საქმეს. ყველაფერი ეს კარგად იციან პარტიის წულუკიძის რაიკომმა და რაისაბჭოს აღმასკომმა, მაგრამ მდგომარეობის გამოსასწორებლად გადამჭრელ ზომებს არ იღებენ.

პარტიულ-პოლიტიკური და პარტიულ-ორგანიზაციული მუშაობა არადამაკმაყოფილებლად არის დაყენებული აგრეთვე ისეთ მსხვილ საკოლმეურნეო პარტიულ ორგანიზაციებში, როგორიც არის ჟდანოვისა და წულუკიძის სახელობის კოლმეურნეობათა პარტიული ორგანიზაციები. და ეს მაშინ, როცა ასინი პარტიის რაიკომისაგან რამდენიმე ასეული მეტრით არიან დაშორებული.

წულუკიძის სახელობის კოლმეურნეობის პარტიულმა ორგანიზაციამ (მდივანი მ. ქვათელიძე) სექტემბერში პარტიულ კრებაზე განიხილა ჩაის მწვანე ფოთლის კრეფის გეგმის შესრულებისა და ჩაის პლანტაციების მოვლის მდგომარეობის საკითხი. კომუნისტებმა აღნიშნეს, რომ აგვისტოში კოლმეურნეობა ჩაის ფოთლის კრეფის საქმეში სამარცხვინოდ ჩამორჩა. ამის მიზეზად ჩაის პლანტაციის მოუვლელობას და შრომის მოუწესრიგებლობას ასახელებდნენ. მდგომარეობის გამოსასწორებლად პარტიულმა კრებამ ცალკეულ ბრიგადებზე „რწმუნებულები“ მიამაგრა, მაგრამ ამან საქმეს ვერ უშველა: ჩაის ფოთლის კრეფაში არავითარი გარდატეხა არ მომხდარა. სექტემბერში ყოველდღიურად მხოლოდ 140-180 კილოგრამ ჩაის მწვანე ფოთოლს კრეფდნენ ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 941,9 კილოგრამისა. 1-დან 24 სექტემბრამდე კოლმეურნეობაში მოკრეფილი იყო 4.059 კილოგრამი ჩაის მწვანე ფოთოლი ნაცვლად 21.663 კილოგრამისა.

პირველადი პარტიული ორგანიზაციების მუშაობაში არსებული სერიოზული ნაკლოვანებანი იმის შედეგია, რომ მათ პარტიის წულუკიძის რაიკომი არასაკმაო კონკრეტულ ხელმძღვანელობასა და დახმარებას უწევს, რომ ამ საქმეში ჯერ კიდევ ადგილი აქვს ფორმალიზმს.

ვ. კოკალეიშვილი,
„კომუნისტის“ ხაკ. კორესპონდენტი.

მოსკოვი

„დავითიანი“ რუსულ ენაზე

მხატვრული ლიტერატურის სახელმწიფო გამომცემლობამ რუსულ ენაზე გამოუშვა დავით გურამიშვილის წიგნი „დავითიანი“ — ლექსები და პოემები, თარგმანი ქართულიდან ნ. ზაბოლოცკისა.

წიგნი შედგება ოთხი განყოფილებისაგან. ამ წიგნში შესულ ნაწარმოებთა შორის არის „წინასიტყვაობა“, „ამ წიგნთა გამლექსავის გვარისა და სახელის გამოცხადება“, „სწავლა მოსწავლეთა — ათთა სახმართა საქმეთა ჩაგონება ყრმათათვის“, „რუსთ ხელმწიფისაგან ქართველთ მეფის ვახტანგის თავისთან მიპატიჟება“ „ტყვეობიდამ გამოხსნა ნარუსეთოში“, „ზუბოვკა“ და სხვ.

წიგნში მოთავსებულია აგრეთვე ბიოგრაფიული ცნობა დავით გურამიშვილის შესახებ და შენიშვნები. ბიოგრაფიულ ცნობაში სხვათა შორის, ნათქვამია: „დავითიანის“ ეს თარგმანი რუსულ ენაზე, რომელიც პოემა ნ. ზაბოლოცკიმ შეასრულა, არსებული თარგმანებიდან ყველაზე სრულია. „მხიარული ზაფხული“ და თითქმის ყველა ლირიკული ლექსი რუსულად იბეჭდება პირველად“.

„დავითიანი“ გამოვიდა ლამაზი ყდით. წიგნი გაფორმა მხატვარმა ა. ვლასოვმა, რედაქტორია ე. ანანიაშვილი, მხატვრული რედაქტორი — გ. კუდრიავცევი.

წიგნის ტირაჟია 10.000 ცალი, ფასი 4 მანეთი 40 კაპიკი.

ქართული კლასიკური პროზის სამტომეული

მხატვრული ლიტერატურის სახელმწიფო გამომცემლობა გამოსაცემად ამზადებს ქართული კლასიკური პროზის სამტომეულს. ამ გამოცემის საერთო მოცულობა იქნება დაახლოებით 110 საავტორო ფურცელი.

სამტომეულში შევა ძველი ქართული ლიტერატურა, XVIII და XIX საუკუნეების ნაწარმოებები, ამასთან დიდი ადგილი დაეთმობა XIX საუკუნისა და XX საუკუნის დასაწყისის ლიტერატურას.

თარგმანების უმრავლესობა კრებულისათვის უკვე მზად არის. ამჟამად მიმდინარეობს სარედაქციო მუშაობა — შედარება დედანთან და თარგმანის ლიტერატურული სწორება.

ქართული ლიტერატურიდან სამტომეულში შევა: „თქმულება ამირანზე“, ნაწყვეტები „ამირან დარეჯანიანიდან“ და „ვეფრამიანიდან“, სულხან-საბა ორბელიანი „სიბრძნე სიცრუისა“, იოანე ბატონიშვილის „კალმასობა“, დანიელ ჭონქაძის „სურამის ციხე“. ფართოდ იქნებიან წარმოდგენილი ქართული ლიტერატურის კლასიკოსები ი. ჭავჭავაძე, ა. წერეთელი, ვაჟა-ფშაველა, ა. ყაზბეგი („ბევრსბერი გოჩა“), დ. კლდიაშვილი, ე. ნინოშვილი, ნ. ლომოური, შ. არაგვისპირელი და ჩვენი თანამედროვე მწერალი ლ. ქიაჩელი, რომლის ნაწარმოებით „ტრიალ გოლეთა“ დამთავრდება ეს საინტერესო კრებული.

კრებულის რედაქტორი-შემდგენელია მწერალი ს. ჩიქოვანი.

ახალი მანქანები

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის სექტემბრის პლენუმის დადგენილებამ მხურვალედ გამოეხმაურნენ მოსკოვის ექსპერიმენტული ქარხნის მუშაკები — სასოფლო-სამეურნეო მანქანების მშენებლები, რომლებიც ქმნიან ახალი სახის სასოფლო-სამეურნეო მანქანებს.

მიმდინარე თვეში ქარხანა ვადაზე ადრე ამთავრებს ეთეროვანი მცენარეების ასაღები მანქანის აწყობას. უკვე აწყობილია ხვიის, წეკოს, ჩაის ასაღები, თამბაქოს ასანმესავი და სხვა მანქანების საცდელი ნიმუშები. ქარხნის კოლექტივმა ვალდებულება იკისრა ოქტომბერში დაამთავროს ჩაის ასაღები 25 მანქანის აწყობა.

ამ დღეებში ქარხანაში დამთავრდა გამოცდა სასილოსე კომბაინისა, რომელიც მზესუმზირას და სიმინდის დერეფებისაგან ამზადებს მწვანე მასას. გარდა ამისა, ქარხანაში ქმნიან მთელ რიგ სხვა მანქანებს — ბოსტნეულისა და კარტოფილის ასაღებ, კვადრატულ-ბუდმრივი წესით სარგავ და სხვა მანქანებს.

საქონლის დამატებითი ფონდები

ცენტროსოიუზმა ცეკავშირს გამოუყო ხუთადასტა საქონლის დამატებითი ფონდები, მათ შორის ოთხი ვაგონი სასურავი რკინა, ხუთი ვაგონი რკინის კრამიტი, 20.000 ცული, 2.400 ცალი ხერხი, 35 ვაგონი ფანჯრის მინა, 14 ვაგონი ტოლი, 100 ვაგონი შიფერი.

ცეკავშირი დიდი რაოდენობით მიიღებს დამატებით ავტოსახურველებს „გეგანტს“. გამოყოფილი 5.000 ცალიდან 4.000 ცალია „ზის-105“ ავტომანქანისათვის და 1.000 ცალი — „ზის-150“-სათვის. 20 მსუბუქი ავტომანქანა „პობედა“ გამოყოფილია კოლმეურნეობებისათვის და 20 ავტომანქანა ცეკავშირის საკუთარი მეურნეობისათვის.

დამატებით გამოყოფილია აგრეთვე 40 ტონა ალუმინის დატვიფრული ჭურჭელი, ორი ვაგონი რკინის მომინანქრებული და 20 ტონა შავი თუჯის ჭურჭელი, 2.500 ცალი ნავთქურა, 580 ტონა ხარისხოვანი რკინა და 240 ტონა წყალსადენის მილები.

ს. რიჟინაშვილი,
„კომუნისტის“ ხაკ. კორესპონდენტი.



მოსკოვი. მეტროს ხადგურ „კომსომოლსკაიასთან“.
ფოტო ნ. გრანოვსკისა (საკადესის ფოტოქრონიკა).

პრესის მიმოხილვა

უინიციატივოდ, ადგილობრივ ბიუროკრატიზმს

მეცხოველეობა სოფლის მეურნეობის ერთ-ერთი წამყვანი დარგია თეთრი წყაროს რაიონში. სამწუხაროდ, უკანასკნელი სამი წლის მანძილზე რაიონი ჩამორჩება სოფლის მეურნეობის ამ უმნიშვნელოვანესი დარგის განვითარების საქმეში. ბევრ კოლმეურნეობაში არ სრულდება პირუტყვის სულადობის გადიდების, მისი პროდუქტიულობის ამაღლების გეგმები. ეს ნაკლოვანებები წელსაც გრძელდება. მაგალითად, რაიონის კოლმეურნეობების ფერმებში მსხვილფეხა რქიანი პირუტყვის სულადობის გეგმის შესრულებას უკანასკნელი ცნობებით აკლდა 3.203 სული პირუტყვი. 51 კოლმეურნეობიდან მსხვილფეხა რქიანი პირუტყვის სულადობის გეგმა შესრულებული ჰქონდა მხოლოდ სამ კოლმეურნეობას.

მეცხოველეობის განვითარების დარგში არსებულ ნაკლოვანებათა აღმოფხვრისათვის ბევრი რამ შეუძლია გაკეთოს რაიონულმა გაზეთმა **„საკოლმეურნეო გზამ“**. მაგრამ იგი სერიოზულ ყურადღებას არ აქცევს მეცხოველეობის განვითარების საკითხებს — პირუტყვის სულადობის გადიდებას და მისი პროდუქტიულობის ამაღლებას, მტკიცე საკვები ბაზის შექმნას, პირუტყვის კარგი და თბილი ბინებით უზრუნველყოფას, მოწინავე მეცხოველეთა გამოცდილების გავრცელებას. მართალია, „საკოლმეურნეო გზა“ წერს მეცხოველეობის საკითხებზე, მაგრამ გაზეთში მოთავსებული მასალები მეტწილად ინფორმაციული ხასიათისაა, მათში დასახელებულია ამა თუ იმ კოლმეურნეობის ან მეცხოველეობის ფერმის მხოლოდ სახელწოდება, ჩამოთვლილია მოწინავეთა ან ჩამორჩენილთა გვარები, მაგრამ არ არის არც ნაკლოვანებათა სერიოზული ანალიზი და არც მათი აღმოფხვრისათვის საჭირო საქმიანი რჩევა-მითითება.

მიმდინარე წლის პირველი ივნისიდან გამოსულ ნომრებში გაზეთმა მხოლოდ ერთხელ — 16 აგვისტოს ნომერში დაბეჭდა შედარებით საქმიანი წერილი „მეცხოველეობის მოწინავე ფერმა“, რომელშიც ლაპარაკია სოფელ კლდეისის კოლმეურნეობის მეცხოველეობის ფერმის კარგ მუშაობაზე. გაზეთი განსაკუთრებით დადებითად იხსენიებს მეძროხეობის ფერმას, რომელიც საუკეთესოა რაიონში. ამ ფერმის მუშაკთა თავდადებული შრომით კოლმეურნეობა წარმატებით ასრულებს პირუტყვის სულადობის, მისი პროდუქტიულობის ზრდის, ნამატის შენარჩუნების დავალებებს.

„მეძროხეობის ფერმას, — წერს გაზეთი, — უნარიანად ხელმძღვანელობს მეცხოველეობის საქმეში გამოცდილი გ. ოქროპირიძე. ამავე ფერმაში მუშაობენ საკოლმეურნეო შრომის აღმავლობისათვის თავდადებული და საზოგადოებრივი საქმისათვის გულშემატკივარი ადამიანები — მწველავები მ. ოქროპირიძე, ე. თამაზაშვილი, მწყემსები ა. ოქროპირიძე, ს. თამაზაშვილი და ზ. მარულასოვი... ისინი ფართოდ იყენებენ მეცხოველეობის მოწინავეთა გამოცდილებას, განუწყვეტლივ ადიდებენ მეცხოველეობის სულადობას და მის პროდუქტიულობას“.

როგორც ჩანს, რაიონს ჰყავს მეცხოველეობის დარგის მოწინავე მუშაკებიც, იქ არის მოწინავე ფერმებიც, რომელთა მუშაობის გამოცდილების ფართოდ გავრცელება დიდ სარგებლობას მოუტანდა მეცხოველეობის განვითარებაში ჩამორჩენილ კოლმეურნეობებს. ვინ უნდა ეწეოდეს ამ გამოცდილების პროპაგანდას, თუ არა პირველ რიგში რაიონული გაზეთი? მაგრამ „საკოლმეურნეო გზის“ ფურცლებზე უკანასკნელი ხუთი თვის მანძილზე ერთხელაც არ გამოქვეყნებულა მოწინავეთა მუშაობის გამოცდილების ამსახველი საფუძვლიანი წერილი ან კორესპონდენცია.

თეთრი წყაროს რაიონის სოფლის მეურნეობის მუშაკები სოციალისტურ შეჯიბრებაში ჩაებნენ წალკის რაიონის მშრომელებთან. რაიონის სოფლის მეურნეობის მოწინავეთა თათბირის მონაწილეებმა ვალდებულებანი იკისრეს მეცხოველეობის განვითარების დარგში. მაგრამ გაზეთი არ ამუქებს არც ამ ვალდებულებათა შესრულების მიმდინარეობას, არ უჩვენებს შეჯიბრებაში დაწინაურებულთ, არ ეხმარება ჩამორჩენილებს გაუსწორდნენ მოწინავეებს.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის სექტემბრის პლენუმის დადგენილების და მის შესაბამისად პარტიისა და მთავრობის მიერ მიღებული გადაწყვეტილებების გამოქვეყნების შემდეგ მაინც საფიქრებელი იყო, რომ გაზეთი გარდაქმნიდა მუშაობას. მაგრამ ასე არ მოხდა. 15 ოქტომბრამდე გამოსულ ნომრებში ამ მნიშვნელოვან თემას გაზეთმა უძღვნა მხოლოდ სამი მოწინავე სტატია და რამდენიმე ინფორმაციული ხასიათის წერილი. არც მოწინავე სტატიებში, არც სხვა მასალებში სათანადოდ არ არის ასახული რაიონის მეცხოველეთა წინაშე ამჟამად მდგომი გადაუდებელი ამოცანები, გაზეთი ღრმა ანალიზს არ უკეთებს იმ ნაკლოვანებებს, რაც რაიონის მეცხოველეობის განვითარების საქმეშია.

როგორც ჩანს, პარტიის რაიონული კომიტეტი ნაკლებად არის დაინტერესებული თავისი გაზეთის საქმიანობით.

პარტიამ და მთავრობამ დაგვისახეს მეცხოველეობის უსწრაფესი აღმავლობისათვის მოქმედების ვრცელი პროგრამა. რაიონული გაზეთი ქმედითად უნდა ეხმარებოდეს პარტიულ, საბჭოთა და სასოფლო-სამეურნეო ორგანოებს მის შესრულებაში.

„კომუნისტის“ სიგნალის შემდეგ

„რაჭომ არ ექცევა ყურადღება მეგოსტნეობის განვითარებას“

„კომუნისტის“ 25 სექტემბრის ნომერში ამ სათაურით დაიბეჭდა კორესპონდენცია, რომელშიც ნათქვამი იყო, რომ მახარაძის რაიონის მთელ რიგ კოლმეურნეობებში. უგულებელყოფენ მეგოსტნეობას.

საქართველოს კ. პ. მახარაძის რაიონული კომიტეტის ბიურომ განიხილა ეს საკითხი და სწორად ცნო კრიტიკა. ბიურომ დასახა მთელი რიგი კონკრეტული ღონისძიებანი მახარაძის რაიონში მეგოსტნეობის განვითარებისათვის.

პრესიდან

...

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოძმე ხალხთა მხატვრული ლიტერატურა

შემოქმედებითი თანამეგობრობა

საბჭოთა კავშირის ხალხთა ძმურ ოჯახში ქართველ და სომეხ ხალხებს ერომანეთთან დიდი ხნის ტრადიციული მეგობრობა აკავშირებს. იგი გამოხატულებას პოულობს სამშობლოს საკეთილდღეო პატრიოტულ შრომაში. ერომანეთს ეჯიბრებიან ქუთაისელი და ლენინაკანელი ფეიქრები, გურჯაანელი და სანაინელი რკინიგზელები, ნატანებელი და ნალბანდიანელი კოლმეურნეები.

ქართველი და სომეხი მწერლების მეგობრობის ახალი დადასტურებაა ჟურნალ **„მნათობისა“** და **„სოვეტაკან გრაკანუთიუნ ევ არვესტის“** (საბჭოთა ლიტერატურა და ხელოვნება) შემცველი ნომრების გამოსვლა. ჟურნალმა „მნათობმა“ თავისი მერვე ნომერი მიუძღვნა სომხურ საბჭოთა მწერლობას, ხოლო სომხურმა ჟურნალმა — ქართულ საბჭოთა მწერლობას. მკითხველები კმაყოფილებით შეხვდნენ ჟურნალების ამ კეთილშობილურ ინიციატივას.

სომეხ და ქართველ ხალხებს შორის მეგობრობას დიდი ისტორია აქვს. რომ არაფერი ვთქვათ შორეულ წარსულზე, საკმარისია აღინიშნოს ის მჭიდრო ლიტერატურულ-კულტურული ურთიერთობა, რომლის განმტკიცებისა და გაღრმავებისათვის თავგამოდებით იბრძოდნენ სომეხი და ქართველი ხალხების ცნობილი საზოგადო მოღვაწეები — ილია ჭავჭავაძე და გაბრიელ სუნდუკიანცი, აკაკი წერეთელი და ოვანეს თუმანიანი, გიორგი წერეთელი და აკოფ აკოფიანი და სხვები.

ქართველი და სომეხი ხალხების ერთმანეთთან დაახლოების, მათ შორის მეგობრული ურთიერთობის გაძლიერებაში მეცხრამეტე საუკუნის მწერლების მიერ დანერგული შესანიშნავი ტრადიციები განავითარეს და ახალ, უფრო მაღალ საფეხურზე აიყვანეს ქართველმა და სომეხმა საბჭოთა მწერლებმა, ჟურნალ „მნათობისა“ და „სოვეტაკან გრაკანუთიუნ ევ არვესტის“ შეცვლელი ნოგრებების გამოსვლის გამო

◄ ►

რომლებიც განახლებული სოციალისტური სამშობლოს მშენებლობის აქტიური მონაწილენი არიან. ისინი მძლავრი პოეტური შთაგონებით ქმნიან მხატვრულ ტილოებს თანამედროვეობის აქტუალურ თემებზე, ხალხთა შორის ლენინურ-სტალინურ მეგობრობაზე, ინტერნაციონალიზმის, საბჭოთა პატრიოტიზმის ცხოველმყოფელ ძალაზე. ჟურნალ „მნათობის“ მერვე ნომერში გამოქვეყნებულ პოეტურ, პროზაულ, დრამატულ ნაწარმოებსა და კრიტიკულ წერილებში სომეხი საბჭოთა მწერლები ოსტატურად, გულწრფელად მოგვითხრობენ აყვავებული სომხეთის ცხოვრებაზე, მის აწმყოსა და მომავალზე, მზარდ კულტურაზე, გვაცნობენ ახალ, კომუნიზმის მშენებელ საბჭოთა ადამიანებს, მათს პატრიოტულ გრძნობებსა და მისწრაფებებს.

ქართველი მკითხველი კარგად იცნობს მხცოვან სომეხ პოეტს, სტალინური პრემიის ლაურეატს ავეტიქ ისააკიანს. მისი ცნობილი პოემა „აბულალმაარი“ და ბევრი სხვა ლექსი შეიყვარა ქართველმა მკითხველმა. „მნათობის“ ამ ნომერში გამოქვეყნებული ა. ისააკიანის სამი ლექსი ავტორისათვის ჩვეული ოსტატობით არის დაწერილი. მაღალი იდეურობით და თემის ორიგინალური გადაწყვეტით გამოირჩევა ლექსი „გამარჯვების დღე“.

მოკლე ხნის მანძილზე საბჭოთა მკითხველებში პოპულარობა მოიპოვა ნიჭიერმა ახალგაზრდა პოეტმა, სტალინური პრემიის ლაურეატმა გევორქ ემინმა. მისმა ახლახან გამოცემულმა წიგნმა „ახალი გზა“ საყოველთაო აღიარება დაიმსახურა. საინტერესოა „მნათობის“ ფურცლებზე გამოქვეყნებული გ. ემინის „ბალადა მეთევზეზე“.

ლტოლვილი სომეხი ლევონა კუნძულ კაპრიზე ღრმა ფიქრს მისცემია. ის ფიქრობს მიტოვებულ სახლკარზე, მარტო დარჩენილ დედაზე, მტრის ხელით მოკლულ ძმაზე. ასე დადარდიანებული და გატეხილი ლევონა მეთევზეობაში კლავს დროს და ხახდახან თვალცრემლიანი თავის ტრაგიკულ თავგადასავალს სიმღერაში აქსოვს. ერთხელ, როცა ლევონა თევზობდა და თავის უბედურ ბედზე მოსთქვამდა, მას მოეელინა უცნობი კაცი, რომელმაც დაწერილებით გამოჰკითხა თავგადასავალი და თანაუგრძნო მწუხარებაში. ეს იყო დიდი ლენინი! კუნძულ კაპრიზე გადასახლებაში მყოფმა ლენინმა „სომეხი ძმობილი“ გაამხნევა და დაიმედა: „ნუ მღერი ასე, უიმედოდ და ნაღვლიანად... ჩვენ შენთან ერთად ამ ცხოვრებას შევცვლით მთლიანად“... უბრალოდ ნათქვამ ამ სიტყვებზე „განათდა თითქოს კუნძული კაპრი“. ბოლოს პოეტი ასკვნის:

„როგორც ლტოლვილი კაცის გული,
ელავს სევანი,
ლტოლვილი კაცის, —
რომ დაბრუნდა მშვიდობით შინა!
მშობელ მიწაზე ცხოვრობს უკვე
ჩვენი ლევონა
და სახე დიდი ლენინისა
მის სახლშიც ბრწყინავს“.

ცნობილი საბჭოთა პოეტი გელამ სარიანი ჟურნალში წარმოდგენილია შესანიშნავი ლექსით „მონუმენტი ბელადს“. უაღრესად გულწრფელი და ძლიერი სტრიქონებით გამოხატავს პოეტი მთელი საბჭოთა ხალხის გულისთქმას:

„ელვარე კვარცხლბეკზე ქალაქის
მშვენებად
დგას დიდი სტალინის დიდი ქანდაკება,
ამშვენებს მის თვალწინ გადაშლილ ერევანს
საბჭოთა ეპოქის მზით მოვარაყება.
იდიდე! ხალხებმა ბელადად დგასახეს,
როგორც ხალხის გული, ძალა და
სიმართლე,
შენ, სომეხ მშრომელთა მადლობით
აღსავსე,
ელვარე კვარცხლბეკზე ცამდის აღიმართე“.

დიდი ხანი არ არის, რაც სამწერლო ასპარეზზე გამოვიდა ოვანეს შირაზი. მან პირველი ლექსებითვე მიიპყრო მკითხველის ყურადღება. ამჟამად რამდენიმე პოემისა და ლექსთა კრებულის ავტორია, მისი ლექსები „იცინიან ჩვენი მთები“ და „ვპოვე“ საბჭოთა ლირიკის თვალსაჩინო ნიმუშებია.

ხალხთა მეგობრობის თემაზეა დაწერილი პოეტ-დრამატურგის გურგენ ბორიანის ლექსები „საბჭოთა საქართველოს“ და „სიმღერა ძმობაზე“. რამდენი პოეტური სითბო და ღრმა პატრიოტიზმი იგრძნობა ლექსში „საბჭოთა საქართველოს“. პოეტი სამართლიანად წერს:

„ერთად დგას ორი ძმობილი,
ხელიხელ გადაჭდობილი.
სომხეთსაც, საქართველოსაც
დღეს საბჭოეთის მზე მოსავთ.
ერთმეორის დიდება
ამ ორ ძმას არ მოსწყენდება.
ეს ლექსიც ხალხის ქართველის
სულ წინსვლის არის მნატრელი“.

ოსტატურად დაწერილი პოეტური ნაწარმოებებით არიან წარმოდგენილი „მნათობის“ ფურცლებზე პოეტი სარმენი, ნიჭიერი ახალგაზრდა პოეტი, სტალინური პრემიის ლაურეატი სილვა კაპუტიკიანი, მარო მარქარიანი, ჭრაჩია ოვანესიანი, ვაჰაგნ დავთიანი, ჰამო საჰიანი. ვეცნობით ამ პოეტების ლექსებს და უფრო და უფრო ვგრძნობთ რუსული ლიტერატურის აქტიურ როლს სომხური ლიტერატურის, კერძოდ პოეზიის განვითარებაში.

ლექსები ქართულად თარგმნეს ირ. აბაშიძემ, გრ. აბაშიძემ, ა. აბაშელმა, რ. მარგიანმა, ხ. ბერულავამ, ა. ადამიამ, მაყვალა მრევლიშვილმა, კ. ბობოხიძემ, ნ. ჩაჩავამ, ვ. ლაფერაშვილმა, შ. ფორჩხიძემ და სხვებმა.

მნიშვნელოვანი გამარჯვებები მოიპოვა სომხურმა საბჭოთა პროზამ. მისი ზრდისა და იდეურად გამდიდრების დამადასტურებელ მოვლენათაგან განსაკუთრებით აღსანიშნავია თემატიკის საგრძნობლად გაფართოება. სომეხი პროზაიკოსები უფრო დიდი მასშტაბით ეხებიან ჩვენი ქვეყნის კომუნისტური მშენებლობის საკითხებს, მწერლობაში ჩნდებიან ახალი გმირები ახალი იდეური სამყაროთი, ფსიქოლოგიით. სომხური პროზის წინსვლასა და გამარჯვებებზე მეტყველებს მხცოვანი მწერლის დერენიკ დემირჭიანის მოთხრობა „სახლი“ (თარგმანი ე. ზედგინიძის და ს. მანველიანისა).

ამ მოთხრობაში ნათელი რეალისტური ფერებით არის გადმოცემული წყეულ წარსულში სამშობლოდან იძულებით გადასახლებული სომხების მწარე ხვედრი, საბჭოთა მთავრობის ზრუნვის შედეგად გადასახლებიდან სამშობლოში მათი დაბრუნების სიხარული.

ზარზანდ დარიანს მოთხრობაში „ბენიამინ კარაგიანი“ მიგნებული შტრიხებით აქვს დახატული სომხეთის საკოლმეურნეო ცხოვრების წარმტაცი სურათები.

დიდ შთაბეჭდილებას ახდენს მკითხველზე ახალგაზრდა ნიჭიერი პროზაიკოსის ჰრაჩია ქოჩარის ორი მოთხრობა „შვილის დაბრუნება“ და „ძმათა სისხლი“. ეს უკანასკნელი პატარა, მაგრამ ემოციურად ძლიერი ნაწარმოები მიძღვნილია დიდი სამამულო ომის თემისადმი. მასში შესანიშნავადაა ასახული სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლებში სომეხი და ქართველი მეომრების — ნაჰაპეტ ანტონიანისა და გერმანე მიქაბერიძის მეგობრობა. ისინი გმირულად იბრძოდნენ სამშობლოს დასაცავად და გმირულადვე დაეცნენ ბრძოლის ველზე.

„მას შემდეგ დიდმა დრომ განვლო. — ამბობს ავტორი. — თითქოს არ გაუვლია მძიმე ბრძოლების წლებს. დღე, საათი და წუთი სავსეა სიცოცხლით. ჩვენი ქვეყნის ქალაქებზე და სოფლებზე ბრწყინავენ დიადი განთიადები და დღე უფრო ნათელი და მომხიბვლელი ხდება, სიცოცხლე უფრო ძვირფასი. მზის ამოსვლა უფრო ლამაზია და შთამაგონებელი, რადგან მის ფერებში ჩაქსოვილია დიადი სხივები, რომლებიც ნათელს გვფენენ მძიმე და ბნელი ღამეების დროს. ამ ფერებში ნაჰაპეტ ანტონიანისა და გერმანე მიქაბერიძის ცხცხლოვანი სულის სხივებიც არის ჩაქსოვილი“.

დასასრულ უნდა აღინიშნოს ცნობილი პოეტ-დრამატურგის ნაირი ზარიანის შესანიშნავი პიესის „მესროპ კარსეციანის“ ქართულად გამოქვეყნება, რომელიც ასახავს სომეხი ინტელიგენციის ყოფას. კარგ შთაბეჭდილებას სტოვებს აგრეთვე სტეფანე კურტიკიანის მხატვრული ნარკვევი „ერევანი“. „მნათობის“ ფურცლებზე გამოქვეყნებული სომეხი მწერლების პროზაული და დრამატული ნაწარმოებები ქართულ ენაზე კარგად თარგმნა ა. დავითიანმა.

ჟურნალის ლიტერატურული კრიტიკის განყოფილებაში მოთავსებული წერილები — ს. ალაბაბიანის „სომხური საბჭოთა ლიტერატურა ომისშემდგომ პერიოდში“ და ს. ავჩიანის „სომხურ-ქართული ლიტერატურული ურთიერთობანი“ გარკვეულ წარმოდგენას იძლევიან სომხური ლიტერატურის ზრდა-განვითარებაზე, სომხურ-ქართული ლიტერატურული ცხოვრების მჭიდრო ურთიერთობაზე. ბიბლიოგრაფიის განყოფილებაში მოთავსებულ წერილებში გარჩეულია სომეხი მწერლის ო. ოუკასიანის მოთხრობა „პატარა შურისმაძიებელები“ (თარგმანი ლ. ასტვაცატუროვისა, საბლიტგამი) და წ. თორგომიანის „რჩეული მოთხრობები“ (თარგმანი ი. შილაკაძისა, სახელგამი).

ასევე ერცლად არის წარმოდგენილი სომხურ ლიტერატურულ ჟურნალში ქართველი მწერლებისა და პოეტების გ. ლეონიძის, ი. გრიშაშვილის, შ. დადიანის, ა. მირცხულავას, ირ. აბაშიძის, კ. ლორთქიფანიძის, ხ. ბერულავას, გრ. აბაშიძის, ი. ნონეშვილის, ლ. ქიაჩელის, ს. ჩიქოვანის, რ. მარგიანის, გ. ჩიქოვანის, კ. კალაძის, ე. ზედგინიძის, მაყვალა მრევლიშვილის, ა. ადამიას, ს. კლდიაშვილის, ა. ბელიაშვილის, ა. სულაკაურის, ა. ლომიძის, ნ. ნადირაძის, გ. ხეთელის და პ. ბახტურიძის ნაწარმოებნი. მათი თარგმანი შესრულებულია მოწინავე სომეხი მწერლებისა და ლიტერატორების მიერ.

სომეხი და ქართველი მწერლების შემოქმედებითი დაახლოებისა და მეგობრობის შემდგომი განმტკიცებისათვის ფასდაუდებელი მნიშვნელობა აქვს ჟურნალ „მნათობისა“ (რედაქტორი ა. მირცხულავა) და „სოვეტაკან გრაკანუთიუნ ევ არვესტის“ (რედაქტორი ს. სოლომონიანი) ინიციატივას.

ელ. უბილავა.

საყურადღებო „წვრილმანები“

რაზომ არ მუშაობს ელექტროსადგური

ამ ოთხიოდე წლის წინათ ელექტროშუქმა გაანათა ჩვენი სოფელიც. მთის პატარა მდინარეზე აშენდა საკოლმეურნეო ელექტროსადგური „ზვარჰესი“. ამან სოფლის მშრომელთა უდიდესი სიხარული გამოიწვია. ზვარეს სასოფლო საბჭოში შემავალ სოფლებში სწრაფად გაიყვანეს ელექტროსადენები, ბევრმა კოლმეურნემ რადიომიმღები, ელექტროუთო და სხვა ელექტროხელსაწყოები შეიძინა. პირველ ხანებში სადგური, მართალია, ერთგვარი შეფერხებით, მაგრამ მაინც მუშაობდა.

უკანასკნელი ორი წლის განმავლობაში სადგურმა ცუდად იწყო მუშაობა. მიმდინარე წლის მაისიდან კი მან სრულიად შეწყვიტა მუშაობა.

რა არის ამის მიზეზი?

მიზეზი უმთავრესად ზვარეს კაგანოვიჩის სახელობის და კვაშტას მიქოიანის სახელობის კოლმეურნეობათა ხელმძღვანელების, აგრეთვე ქედის რაიონული საბჭოს აღმასკომის სუსტ მუშაობაში უნდა ვეძიოთ. ისინი ქმედით ზომებს არ იღებენ სადგურის მუშაობის მოსაგვარებლად, სადგურის მუშაკთა კვალიფიკაციის ასამაღლებლად.

ამ საქმისადმი ინტერესს არ იჩენს არც „საქსოფლელექტროს“ აჭარის განყოფილება.

შ. ჩიქვაიძე,
ქედის რაიონი.

არ გვყოფნის წყალი

ქალაქ ქუთაისში მოუგვარებელია მშრომელთა წყლით მომარაგების საქმე. ფარცხანაყანევის წყალსადენი მინიმალურად ვერ აკმაყოფილებს მოთხოვნილებას. ამიტომ ქალაქის მრავალი უბანი კვლავ რიონის წყალსადენით სარგებლობს. წვიმიან ამინდში ხშირია შემთხვევა, როცა ქსელში მღვრიე წყალი მოდის.

ქუთაისში წყლის ნაკლებობას ისიც უწყობს ხელს, რომ ქალაქის საწარმოთა დიდ უმრავლესობას არა აქვს წყლის ხარჯვის აღმრიცხველები. ეს დიდად ზრდის დანაკარგებს.

ა. კოკმაზიძე.

კეთილმოუწყობელი გზა

კასპის ცემენტის ქარხნის სამხრეთ-დასავლეთით ორმოცდაათზე მეტი ოჯახი ცხოვრობს. გზა, თუ შეიძლება მას გზა ეწოდოს, რომელიც ჩვენ გვაქვს ქარხანაში და დაბის ცენტრში მისასვლელად, მეტად კეთილმოუწყობელი და ამასთან დამით გაუნათებელია.

ამ გზის კეთილმოწყობის შესახებ მრავალჯერ მიგმართეთ ქარხნის ადმინისტრაციას, რაიონის ხელმძღვანელ ორგანოებს, მაგრამ ამაოდ.

ა. კაციაშვილი, ი. ნატრო-შვილი, ა. ძოსაშვილი, ა. ვასილევი.

თბილისს დაშორებით

მესტიის რაიონში

მესტიის რაიონის სოფელ ცხუმარის შვერნიკის სახელობის კოლმეურნეობა. სურათზე: აგიტატორი ა. არდვლიანი მეცხოველეობის მუშაკებს აცნობს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსა და საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის დადგენილებას მეცხოველეობის განვითარების შესახებ.

ფოტო მ. ოთხვანისა.

★ ★

★

ბრძოლვადიანი კრედიტები მთიანი რაიონის კოლმეურნეობებს

კომუნისტური პარტია და საბჭოთა მთავრობა დიდ ყურადღებას აქცევენ მთიანი რაიონების კოლმეურნეობებში მეცხოველეობის განვითარებას და კულტურულ-საყოფაცხოვრებო პირობების შემდგომ გაუმჯობესებას. მესტიის რაიონის კოლმეურნეობებისათვის წელს სახელმწიფომ გამოყო 250 ათასი მანეთი გრძელვადიანი კრედიტი. სესხი ძირითადად მოხმარდება მეცხოველეობის ფერმების და კულტურულ-საყოფაცხოვრებო შენობების აგებას, მაღალპროდუქტიული პირუტყვის შეძენას და სხვ.

მარტო მეცხოველეობის ნაგებობათა მშენებლობისათვის სახელმწიფომ კოლმეურნეობებს სესხად 150 ათასი მანეთი გამოუყო, ჯიშიანი პირუტყვის შესაძენად კი 100 ათასი მანეთი.

სოფელ ლახამულის კაგანოვიჩის სახელობის კოლმეურნეობამ სახელმწიფოსაგან მიიღო 16 ათასი მანეთი გრძელვადიანი კრედიტი. კოლმეურნეები მიღებული თანხით და თავიანთი პირადი საშუალებებით აშენებენ პირუტყვის ხადგომს, საფრინველისა და ხაღორეს.

ჯიშიანი პირუტყვის შესაძენად გრძელვადიანი კრედიტი 20 ათასი მანეთის რაოდენობით მიიღეს სოფელ კალის ვოროშილოვისა და სოფელ ფარის ყდანოვის სახელობის კოლმეურნეობებმა.

★

რაიონული ცენტრის კეთილმოწყობა

უკანასკნელ ხანებში მეტი ყურადღება ექცევა რაიონული ცენტრის კეთილმოწყობას. მთავარი ქუჩის ორივე მხარეს გაჰყავთ ბეტონის არხები, რომლებშიც მალე იჩუხჩუხებს მდინარე მესტიაჭალის ანკარა წყალი. მიმდინარეობს კანალიზაციის გაყვანა.

რაიონულ ბაღს გაფაქიდა რკინაბეტონის ბორდიურები, შეხახვლელი კარი. უახლოეს ხანში ბაღის ირგვლივ დაირგვება 350 ძირი ალვისხე, გაზაფხულზე კი ბაღი შეივსება წიწვიანი მცენარეებით.

ელექტროშუქი მთაში

მაღალმთიან სოფლებში კალასა და ბეჩოში აშენდა ახალი ელექტროსადგურები, რომლებმაც გაანათეს კოლმეურნეთა სახლები.

კალას ელექტროსადგურიდან ელექტროშუქი მალე იქნება გაყვანილი სოფლების იფარის, წვირმისა და ადიშის მოსახლეობისათვის. ბეჩოს ელექტროსადგური კი მომსახურებას გაუწევს საკოლმეურნეო სოფლებს ლატალს, ეცერსა და ცხუმარს.

პირუტყვის კეთილმოწყობილი სადგომები

კეთილმოწყობილი სადგომები 100 სული ძროხისათვის ააშენეს მულახის სტალინის სახელობის კოლმეურნეობაში. მშენებლობა 153.500 მანეთი დაჯდა. ასეთივე სადგომები ააშენეს ლატალის სტალინის სახელობის კოლმეურნეობამ და იფარის ანდრეევის სახელობის კოლმეურნეობამ თვითეულმა 124 სული ძროხისათვის.

პირუტყვის ახალ ბინებს აშენებენ წვირმის მალენკოვის, ლახამულას კაგანოვიჩის, ბეჩოს ლენინის, ეცერის მოლოტოვისა და სხვა სოფლების კოლმეურნეობები.

ახალი მაღაზიები

რაიონის ცენტრს ყველაზე მეტად დაშორებულია სოფელი ადიში, რომელიც გაშენებულია მწვერვალ თეთნულდის ძირში. აქ 40-ზე მეტი კომლი ცხოვრობს. სოფლის მცხოვრებთ დღემდე მესტიაში უსდებოდათ სიარული ფართო მოხმარების საქონლის შესაძენად.

სოფელ წვირმსაც, რომელიც უდვირის უდელტეხილზეა გაშენებული, საკუთარი მაღაზია არ ჰქონდა. რაიკოოპკავშირის გამგეობამ ამას წინათ ადიშისა და წვირმის მოსახლეობისათვის გახსნა ახალი მაღაზიები, რომლებიც უზრუნველყოფილია ფართო მოხმარების საქონლით.

ბ. ნოდია,
„კომუნისტის“ ხალ. კორ.

★

★

ვაშლის ბაღები მთაში

რაიონის კოლმეურნეობებმა 1950 წლიდან დაიწყეს მიჩურინული ჯიშის ვაშლის ბაღების გაშენება. მაღალმთიანი სოფლების კოლმეურნეობებში გაშენებულია 6 ჰექტარი ვაშლის ბაღი. აქ შესანიშნავად ხარობს ბელფლიორი, შაფრანი, კეხურა, ანტონოვკა და სხვ.

სოფელ მულახის სტალინის სახელობის კოლმეურნეობაში გაშენებულია ორ ჰექტარამდე ბაღი, რომელიც კარგად არის მოვლილი და კარგადაც ისხამს. ნაყოფი გამოირჩევა ხიმსხოთი, ფერით, ხურნელებითა და გემოთი. ხეხილის ბაღი გაშენებული აქვთ აგრეთვე სოფელ ლენჯერის, ბეჩოს ლენინის სახელობის და ეცერის მოლოტოვის სახელობის კოლმეურნეობებში.



სურათზე: მესტიის რაიონი. სოფელ მულახის სტალინის სახელობის კოლმეურნეობის მსხვილფეხა რქიანი პირუტყვის ფერმა.

ფელეტონი

„ამერიკა“ ნოსტალგიურ ბიბლიოთეკაში

ეგი ახალდაბადებულია.

„დედა ნახე, მამა ნახე — შვილი ისე გამონახეო“, — ნათქვამია.

როგორც რგვალბეჭედდასმული დოკუმენტები და ჯერ კიდევ წარუშლელი გითხრები მოწმობენ, მისი წინაპარი დაბადებულა ერთ ნაკაან წელიწადს ქუთა-ბაიკათა გულისგამხარებელ უმთავარო ღამეს თბილისში, მარჯანიშვილის ქუჩაზე № 30 სახლის სარდაფში, იმ ადგილას, სადაც მობინადრეებს ღვინის საწყობი ეგულებოდათ. დაბადება ყოფილა ისე მტკივნეული, რომ სამსართულიანი შენობა კინალამ წელში გაწყვეტილა და, რკინის სალტეებით და საყრდენებით რომ არ მიშველებოდნენ, ხუხულასავით დაინგრეოდა. ახლაც რკინის ორტახები ამაგრებენ ამ შენობას.

წინაპრის „ნათლიები“ ყოფილან რომელიღაც „არტელის“ აბრას ამოფარებული უსაქმოდ დარჩენილი მეკატნები, რომელნიც იმ უმთავარო ღამეს ქუთლულად შემძვრალან დასახლებულ სარდაფში, გოლრმავებიათ იგი, გამოუნგრევიათ საძირკველი, კაპიტალური კედელი, რამაც გამოიწვია მთელი შენობის დეფორმაცია, დაპატრონებიან მობინადრეთა შეშისა და საოჯახო ნივთების საწყობებს, ხუთნელებიანთ შესვეიან მიწას და გაუთხრიათ ეზოში გასასვლელი. და ასე შობილა ვადაშენებულ მეკიტანთა ნაზოლარების ფულისგამხარებელი, რომლისთვისაც „ნათლიებს“ დაურქმევიათ მეტად სიმპათიური სახელი „სამგორი“.

დილიდან შუალამემდე ბოლავდა სამ სართულს ზემოთ აშვერილი საკვამლე მილი და უხვად ჰფანტავდა ირგვლივ ქვანახშირის შედეგებულ ჭვარტლს.

გავიდა დრო. მანკიერონი მზილებულ იქნენ და უკანონო „არტელის“ ველურ ფუძემდებელთა ნაშიერსაც ამოხდა ხული. მემკვიდრეობად დარჩა: ბნელი სარდაფი, შიგ კი ლითი-ფოთების ჩხუბისა და გაწევ-გამოწევის დროს დამტვრეული მაგიდები და სკამები, ჭვარტლიანი საკვამლე მილი და გაბინძურებული ეზო.

ასეთი გულისამრევი მემკვიდრეობა ჩაიბარა თბილისის № 2 სახკვებტრესტმა. ვინ იფიქრებდა, რომ ტრესტში აღმოჩნდებოდა ისეთი ვინმე, ვინც განიზრახავდა ამ უსინათლო ჯურღმულში ისევ სასადილის გახსნას.

და ისევ ამოლდა საკვამლე მილი, ისევ გაიშუარა კარ-ფანჯრები.

ვის გავეყარეთ, ეს შევეყარეთო, — გაიძახოდნენ მობინადრეები. გამწვავდა დამოკიდებულება მობინადრეებსა და მემკვიდრეებს შორის.

დიდი დავიხა და დავიდარაბის შემდეგ სამმეში ჩაერია თბილისის საბჭოს აღმასკომი და ვაქრა მანკიერი წინაპრის მანკიერი პირშო.

მაგრამ არ იფიქროთ, რომ № 2 სახკვებტრესტმა დაიარა ფარხმალი. არა და არა.

— ჩვენ ეს გეგმაში გვიზის. ამ სარდაფიდან ასეული ათასები უნდა ამოვჭაროთო, — გაიძახოდნენ საზოგადოებრივი მკვიცავები.

— უნდა გავუწიოთ ანგარიში. გეგმა ხომ კანონიაო, — კვირს უკრავდნენ თბილისის საქალაქო საბჭოს აღმასკომის სავაჭრო განყოფილების მუშაკები.

ამ დავასა და დავიდარაბას ჩვენ იმ პერიოდში მივუსწარით, როდესაც თითქმის ხელჩართული ბრძოლა იყო გამართული ახალ „ნათლიებსა“ და მობინადრეებს შორის. საზმკვეტა-ვებს მოეზიდათ აგური და აბრიგადხენ ისევ საკვამლე მილის აყვანას მესამე სართულამდე, მობინადრეები შესეოდნენ აგურს და ჭუჭაში ყრიდნენ. ხელოსნებს შორის ჩამდგარი ტრესტის წარმომადგენელი, რომელსაც თავში კინალამ მოხვდა გაბრაზებული მობინადრის მიერ მოქნეული აგური, ხალხის დასამშვიდებლად გაიძახოდა:

— „ამერიკანკა“ იქნება, „ამერიკანკა“.

— არავითარი „ამერიკანკა“ არ ვიცით. ჩვენ ვიცით, რომ აღმასკომის განკარგულებით თქვენ აკრძალული გაქვთ საკვამლე მილის აყვანა... გათავდა და მორჩა.

— დაწყნარდნენ. ეს ისეთი კინალამ ... მილი იქნება, რომლიდანაც ბოლი არ ამოვა, — უმტკიცებდნენ ტრესტის წარმომადგენლები.

საზმკვეტავებს საკვამლე მილის აყვანა აუკრძალეს, მაგრამ მათ არ დათმეს პოზიციები და სამზარეულო ელექტროურეზეზე გადაიყვანეს. და ასე იშვა იმ ბნელ სარდაფში მანკიერ წინაპართა პირშოში, რომელსაც „ამერიკანკას“ უწოდებენ საზოგადოებრივი კვების № 2 ტრესტის დირექტორი ამბ. ა. მთვარაძე და სარემონტო-სამშენებლო კანტორის უფროსი ამხ. დ. ინასარიძე.

დავინტერესდით გაგვეგო, რას წარმოადგენს ეს ახალდაბადებული „ამერიკანკა“.

— იგი დაახლოებით ისეთივე ტიპისაა, როგორიც, მაგალითად „კაფეტერიაა“... ეი იქ, ელბაქიძეს დალმართისა და რუსთაველის პროსპექტის კუთხის სახლის პირველ სართულზე რომ გვაქვს გამართული, — გვიპასუხეს ტრესტიდან.

მკითხველს უნდა აუხსნათ, რომ კაფეტერია არის სასაუზმე, სადაც ბუფეტი კაცზე მაღალი სკამებით არის შემორაგული. ბუფეტის ირგვლივ შემორტყმულ რკინის სალტეს ორივე ხელით თუ არ ჩაეჭიდე და სხეული არ აიტაცე, სკამზე ვერ დაჯდები. ფეიზლებს დაჯდომა უძნელდებათ, ხოლო შეზარხოშებულნი ტყაპატყუპით ცვივიან იატაკზე.

რას წარმოადგენს ახალშობილი „ამერიკანკა“? მოკლედ აგიწერთ: ბნელი სარდაფი. ტროტუარის დონეზე დატანებული პატარა სარკმელები. საუზმეს მოგართმევენ მაგიდაზე, რომელსაც ტანმორჩილი კაცი ვერ შეესწვდება. ელექტროფლეიტზე დადგმული ქვაბებიდან ამოსული ოხშივარი სუნთქვას შეგიკრავს. გაღება სარკმელს — მტვრით აივსება თეფში, არ გაიღებ — გაიგუდები. აი ეს ყოფილა „ამერიკანკა“.

რა აუცილებლობით იყო გამოწვეული მისი გაჩენა?

დაიწყეთ კალინინის ქუჩის კუთხიდან და ჩამოჰყვეთ მარჯანიშვილის ქუჩას. კუთხეში ისაუზმეთ — სასაუზმეა, გაიარეთ ერთ სახლს — ისაუზმეთ — კიდევ სასაუზმეა, გაიარეთ მეორე სახლს — სასაუზმეა, გაიარეთ ერთ კვარტალს — ისევ სასაუზმეა. ისეთი შთაბეჭდილება შეგექმნებათ, რომ ამაურები განუწყვეტელ საუზმეზე გადაუყვანიათო. მოიარეთ მთელ უბანს და ვერსად ვერ ნახავთ პამიდორს, კარტოფილს, კომბოსტოს, წიწაკას, ნიახურს, სტაფილოს, ქინძსა თუ კამას. ბოსტნეულისა და მწვანილის შესაძენად ორ-სამ კილომეტრზე ბაზარში დადიან დიასახლისები.

— არ გვინდა ამდენი საუზმე, საღილის ხაკაზმზედაც იფიქრეთო, — შემოგვჩივლეს დიასახლისებმა. — ერთი ბოსტნეულის წერტი გაგვიხსენითო.

საყვედური და მოთხოვნა სავსებით სამართლიანია და იგი უნდა ყურადღიღონ ქალაქის მესვეურებმა. ვეგმა, რასაკვირველია, კანონია და იგი აუცილებლად უნდა შესრულდეს, მაგრამ მოსახლეობის დანაყრებას როცა ვეგმავთ, ხინკალთან, ქაბაბთან, ძეხვთან ერთად ბოსტნეული და მწვანილიც დავეგემოთ, მით უფრო, რომ საქართველო საუკეთესო ბოსტნეულითა და მწვანილით არის განთქმული.

რაც შეეხება ახალშობილ „ამერიკანკას“, მას, ჩვენი აზრით, დიდი დღე არ უწერია, თუნდაც რომ „ფრანცუეკენკად“ მონათლონ იგი.

საერთოდ კი ჩვენი დედაქალაქის დამაშვენებლების, კულტურული ვაჭრობისა და განსაკუთრებით საზოგადოებრივი კვების მუშაკების მისამართით ვიტყოდით: დროა აღიკვეთოს ზოგიერთი მუშაკის თავში დაბუდებული არასწორი ტენდენცია — მოგებით ზედმეტი გატაცება, დროა აღიკვეთოს ბნელ სარდაფებში ძვრომა. მივეპატიჟოთ კულტურული საბჭოთა მომხმარებელი — სასაუზმოდ იქნება თუ სასადილოდ, — ნათელ, კრიალა დარბაზებში, რის საშუალება ჩვენ გვაქვს, და არა გადაშენებულ ბნელ სარდაფებში.

გერმან ფუბიძე.

კაპიტალისტური ქვეყნების ბიუჯეტები ომის ბიუჯეტებია

კანონი 1953 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ, რომელიც სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს მეხუთე სესიამ მიიღო, ნათლად გამოხატავს საბჭოთა კავშირის სამშვიდობო პოლიტიკას, მის დაუცხრომელ ზრუნვას საბჭოთა ხალხის კეთილდღეობისათვის. ბიუჯეტის ციფრები, როგორც შემოსავლის, ისე ხარჯების ნაწილში, ნათლად გვიჩვენებენ, რომ ჩვენში ბიუჯეტი გამოყენებულია ქვეყნის ეკონომიური ძლიერების განმტკიცებისათვის და მშვიდობიანი სახალხო მეურნეობის შემდგომი განვითარებისათვის.

საბჭოთა საზოგადოების პირობებში, რომლის ეკონომიურ საფუძველს შეადგენს მეურნეობის სოციალისტური სისტემა და წარმოების საშუალებათა საზოგადოებრივი საკუთრება, ბიუჯეტი ემსახურება სოციალისტური წარმოების განვითარებისა და სრულყოფის საქმეს უმაღლესი ტექნიკის ბაზაზე, და ამ საფუძველზე მშრომელთა მატერიალური და კულტურული დონის განუწყვეტელ ზრდას.

მიმდინარე 1953 წელს ბიუჯეტის ასიგნობანი გათვალისწინებულია 530,5 მილიარდი მანეთის ოდენობით. აქედან სახალხო მეურნეობის განვითარებისათვის გათვალისწინებულია 192,5 მილიარდი მანეთი ანუ მთელი ბიუჯეტის 36 პროცენტზე მეტი, ხოლო სოციალურ-კულტურულ ღონისძიებათა დასაფინანსებლად — 129,8 მილიარდი მანეთი, რაც შეადგენს ბიუჯეტის 24,4 პროცენტს. ამგვარად, სახელმწიფო ფინანსური რესურსების დიდი ნაწილი — თითქმის ორი მესამედი ხმარდება სახალხო მეურნეობისა და სოციალურ-კულტურულ ღონისძიებათა დაფინანსებას.

სახალხო დემოკრატიის ქვეყნებში, სადაც დამხობილია კაპიტალისტთა და მემამულეთა ძალაუფლება, ძირეულად შეიცვალა სახელმწიფო ბიუჯეტების შინაარსი.

სახალხო დემოკრატიის ქვეყნების ბიუჯეტებში ცენტრალური ადგილი უკავია იმ ხარჯებს, რომლებიც გათვალისწინებულია სოციალიზმის საფუძვლების აშენებისათვის. სოციალისტური ინდუსტრიალიზაციისა და სოფლის მეურნეობის აღმავლობისათვის. მსხვილი თანხები იხარჯება აგრეთვე სახალხო განათლებისა და ჯანმრთელობის დაცვის ღონისძიებებზე. ამ ქვეყნებში სახალხო-დემოკრატიული წყობილების დამყარებამდე საბიუჯეტო დეფიციტებს თითქმის ქრონიკული ხასიათი ჰქონდა; ახლა საბიუჯეტო დეფიციტები ლიკვიდირებულია.

* * *

კაპიტალისტური ქვეყნების ბიუჯეტები კი პარაზიტული ხასიათის ბიუჯეტებია. სახელმწიფო ბიუჯეტის საშუალებით ხდება სახსრების უდიდესი ნაწილის ამოღება ნაციონალური შემოსავლიდან და იგი ხმარდება ბიუროკრატიული სახელმწიფო აპარატის და არმიის შენახვას, სახალხო მეურნეობის მილიტარიზაციას, ომის მომზადებასა და წარმოებას. სოციალურ-კულტურულ ღონისძიებათათვის კი კაპიტალისტურ სახელმწიფოთა ბიუჯეტებიდან მეტად უმნიშვნელო თანხები იხარჯება. მაგალითად, ამერიკის შეერთებული შტატების 1951-1952 წლის ბიუჯეტის 75 პროცენტზე მეტი განკუთვნილი იყო მილიტარისტული მიზნებისათვის, შეიარაღებისა და აგრესიულ საგარეო პოლიტიკასთან დაკავშირებული ხარჯებისათვის. რაც შეეხება სახალხო განათლებისა და ჯანმრთელობის დაცვის ღონისძიებებს, მათთვის გადადებული იყო 2 პროცენტზე ნაკლები. სწორედ ამის შედეგია, რომ ბავშვთა 25 პროცენტი ძლივს იღებს მინიმალურ განათლებას, ხოლო სასკოლო ასაკის 4 მილიონი ბავშვი სკოლისგარეთ არის დარჩენილი. 10 მილიონზე მეტი წერა-კითხვის უცოდინარია. მიუხედავად ამისა, 1953-54 წლის ბიუჯეტით განათლების დარგში გათვალისწინებულია მთელი ხარჯების მხოლოდ 0,4 პროცენტი.

მშრომელთა ჯანმრთელობის დაცვის საქმეს კაპიტალისტურ ქვეყნებში არავითარი ყურადღება არ ექცევა. მკურნალობა უმთავრესად კერძო ექიმების ხელშია. ამ საქმეზე ბიუჯეტით უმნიშვნელო თანხები იხარჯება. ამით აიხსნება, რომ ამერიკის შეერთებულ შტატებში 1945 წლიდან 1952 წლამდე ავადმყოფთა საწოლების რიცხვი 282 ათასით შემცირდა. ზოგიერთ შტატში სამკურნალო დაწესებულებათა რიცხვი 20-25 პროცენტით შემცირდა. ეს იმ დროს, როდესაც ყაზარმებისა და სამხედრო ბანაკების მშენებლობაზე 4,5 მილიარდ დოლარზე მეტი იხარჯება.

სოციალური უზრუნველყოფის საქმე კაპიტალისტურ სახელმწიფოებში არ წარმოადგენს სახელმწიფოს ზრუნვის საგანს. ამიტომ არის, რომ უმუშევართა დიდი არმია, აგრეთვე ადამიანები, რომლებმაც დაკარგეს შრომის უნარი ან რაიმე ფიზიკური ნაკლი აქვთ, განწირული არიან შიმშილით სიკვდილისათვის.

კაპიტალისტურ სახელმწიფოთა ბიუჯეტებში ასევე მცირე ოდენობით არის წარმოდგენილი სამეურნეო ხარჯები. რაც გათვალისწინებულია, ისიც ძირითადად სამხედრო საჭიროებებს ემსახურება. ასევე ითქმის ტრანსპორტის ხარჯებზეც.

საბინაო და კომუნალური მეურნეობა კაპიტალისტურ სახელმწიფოებში წარმოადგენს კაპიტალისტთა მიერ მუშათა კლასის დამატებითი ექსპლოატაციის წყაროს. ამას მოწმობს მაღალი საბინაო ტარიფები, საბიუჯეტო ასიგნობანი ამ ხაზით უმთავრესად იხარჯება ქალაქის იმ ქუჩებისა და კვარტალების კეთილმოწყობისათვის, სადაც მდიდრები ცხოვრობენ. მუშათა კვარტალები კი მოკლებულია ყველაზე ელემენტარულ მოწყობილობასაც კი. ამის შედეგია ხშირი ეპიდემიები და სიკვდილიანობის მაღალი პროცენტი ამ რაიონებში.

ახლა იმპერიალისტური სახელმწიფოები გამალებით ამზადებენ ახალ მსოფლიო ომს. ამის გამო ამ ქვეყნების ბიუჯეტები მთლიანად გადაიქცნენ მილიტარიზაციისა და ომის ბიუჯეტებად. თანამედროვე კაპიტალიზმის ძირითადი ეკონომიური კანონის მოქმედების შედეგად კაპიტალისტურ სახელმწიფოთა ფინანსური სისტემები ხელს უწყობენ მონოპოლისტთა მაქსიმალური მოგების უზრუნველყოფას. შემცირებული ოფიციალური მონაცემებითაც კი, ამერიკის შეერთებულ შტატებში კაპიტალისტური მონოპოლიების მოგება 1938 წლის 3,3 მილიარდი დოლარიდან 1951 წელს გადიდდა 42,9 მილიარდ დოლარამდე, ე. ი. 13-ჯერ.

კაპიტალისტური სახელმწიფოების ბიუჯეტებში კოლოსალურად იზრდება სამხედრო ხარჯები. მაგალითად, სამხედრო ხარჯები 1952-53 წელს 1949-50 წელთან შედარებით გაიზარდა ამერიკის შეერთებულ შტატებში — 3,3-ჯერ, ინგლისში — 1,9-ჯერ, საფრანგეთში — 3-ჯერ, იტალიაში — 1,6-ჯერ, დასავლეთ გერმანიაში — 2,2-ჯერ.

კაპიტალისტურ სახელმწიფოთა ბიუჯეტები შემოსავლის ნაწილში თითქმის მთლიანად ეყრდნობა მოსახლეობის გადასახადებს. 1952-53 საბიუჯეტო წელს ამერიკის ბიუჯეტში გადასახადები შემოსავლის მთელი თანხის 98 პროცენტს შეადგენდა, ინგლისში — 95 პროცენტს, საფრანგეთში — 93 პროცენტს. ამრიგად, ამ ქვეყნების ბიუჯეტების შემოსავალი დაფუძნებულია მშრომელთა ძარცვაზე.

შეიარაღების ხარჯების უდიდესი ოდენობა, რაც იმპერიალისტთა აგრესიული პოლიტიკიდან გამომდინარეობს, იწვევს ბიუჯეტების ქრონიკულ დეფიციტურობას. მაგალითად, ამერიკის, ინგლისის, საფრანგეთისა და იტალიის ბიუჯეტები უკანასკნელი 10 წლის განმავლობაში დეფიციტურია. ამერიკის ბიუჯეტში დეფიციტი 1952-53 წელს შეადგენდა 9,4 მილიარდ დოლარს, ნაცვლად წინა წლის 4 მილიარდი დოლარისა. 1953-54 წლისათვის ბიუჯეტი შედგენილია 5 მილიარდზე მეტი დოლარის დეფიციტით, რაც სინამდვილეში გაცილებით მეტი იქნება. საფრანგეთში 1951 წელს საბიუჯეტო დეფიციტი შეადგენდა 503 მილიარდ ფრანკს, 1952 წელს კი — 700 მილიარდ ფრანკზე მეტს. ინგლისში საბიუჯეტო დეფიციტი 1951-52 წელს 172 მილიონ გირვანქა სტერლინგს შეადგენდა, ხოლო 1952-53 წელს 436 მილიონ გირვანქა სტერლინგს. 1953-54 წელს ბიუჯეტი შედგენილია 580 მილიონ გირვანქა სტერლინგის დეფიციტით.

მწვავე საბიუჯეტო დეფიციტის დასაფარავად კაპიტალისტურ სახელმწიფოთა მესვეურები მიმართავენ მოსახლეობის გადასახადებით დაბეგვრის გადიდებას. მაგალითად, ამერიკის შეერთებულ შტატებში 1949-50 წელს ფედერალური გადასახადები შეადგენდა 40 მილიარდ დოლარს, 1952-53 წელს კი — 73 მილიარდ დოლარს, ე. ი. გაიზარდა თითქმის ორჯერ, ხოლო 1937-38 წელთან შედარებით გადასახადები გადიდებულია 12-ჯერ და უფრო მეტად. ინგლისში პირდაპირი და არაპირდაპირი გადასახადები ამავე პერიოდში 3.670 მილიონი გირვანქა სტერლინგიდან გაიზარდა 4.513 მილიონ გირვანქა სტერლინგამდე. საფრანგეთში 1953 წელს გათვალისწინებულია გადასახადებით 2.683 მილიარდი ფრანკი შემოსავალი ნაცვლად 1950 წლის 1.703 მილიარდი ფრანკისა.

უკანასკნელ პერიოდში განსაკუთრებით საგრძნობი ხდება სახელმწიფო ვალების ზრდა კაპიტალისტურ ქვეყნებში. ამერიკაში სახელმწიფო ვალები 1952 წლის ბოლოსათვის 267.445 მილიონ დოლარს შეადგენდა. ორი უკანასკნელი წლის განმავლობაში ვალი 10 მილიარდი დოლარით გაიზარდა. ინგლისში ამავე დროისათვის სახელმწიფო ვალი 26.501 მილიონ გირვანქა სტერლინგს შეადგენდა, საფრანგეთში კი — 4.808 მილიარდ ფრანკს.

კაპიტალისტური ქვეყნების ეკონომიკა ვითარდება არა საზოგადოებრივი ინტერესების შესაბამისად, არამედ მონოპოლისტთა ვიწრო ჯგუფის მიერ მაქსიმალური კაპიტალისტური მოგების მიღების უზრუნველყოფის ინტერესებისათვის. სახალხო მეურნეობის გადაყვანა სამხედრო წარმოების რელსებზე, — გვასწავლის ი. ბ. სტალინი, — ნიშნავს მისცე მრეწველობას ცალმხრივი სამხედრო მიმართულება, ყოველმხრივ განავითაროო ომისათვის საჭირო საგნების წარმოება, რაც დაკავშირებული არ არის სახალხო მოხმარებასთან, ყოველმხრივ შეზღუდო მოსახლეობის მოხმარების საგნების წარმოება და ბაზარზე მიწოდება, საბოლოო ანგარიშით შეამცირო მოსახლეობის მოხმარება და დააყენო ქვეყანა ეკონომიური კრიზისის წინაშე.

ამერიკაში 1952 წელს ძირითადი საომხმარებლო საქონლის წარმოება 37 პროცენტით შემცირდა 1950 წელთან შედარებით. ინგლისში საფეიქრო მრეწველობა 1952 წელს წინა წელთან შედარებით შემცირდა 20 პროცენტით.

ამერიკაში, ინგლისსა და სხვა კაპიტალისტურ ქვეყნებში ფართო მოხმარების საქონლის გამოშვების შემცირების შედეგად მნიშვნელოვნად დაეცა სამრეწველო წარმოების ტემპი. ამის შედეგად ვითარდება კრიზისული მოვლენები, იზრდება უმუშევართა რიცხვი, მცირდება მოსახლეობის მყიდველობითი უნარი. 1952 წლის ბოლოსათვის ამერიკაში 3 მილიონი მთლიანად უმუშევარი და 10 მილიონზე მეტი ნაწილობრივ უმუშევარი იყო, იაპონიაში — 10 მილიონამდე მთლიანად და ნაწილობრივ უმუშევარი. ამასთან კაპიტალისტურ ქვეყნებში მცირდება მუშათა რეალური ხელფასი, რაც იწვევს მშრომელთა აბსოლუტურ გაღატაკებას.

„კაპიტალისტური ქვეყნების ბიუჯეტი, — თქვა ამხანაგმა გ. მ. მალენკოვმა პარტიის XIX ყრილობაზე, — იქცევა ომის საშუალებად, რომ მილიარდერებმა ძარცვონ ხალხი, მნიშვნელოვნად მცირდება მოსახლეობის მყიდველობითი უნარი, მცირდება მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის პროდუქციის მოთხოვნა, მკვეთრად ეცემა სამოქალაქო წარმოება და იქმნება პირობები, რომ დაიწყოს მწვავე ეკონომიური კრიზისი“.

ვლ. ტრაპაიძე.

პროფკავშირთა მესამე მსოფლიო კონგრესი

16 ოქტომბრის დღის სხდომა

ვენა, 16 ოქტომბერი. (საკ.ესი). ... III მსოფლიო კონგრესმა ალეირის პროფკავშირთა წარმომადგენლების წინადადებით მიიღო ტექსტი პროტესტისა მაროკოში ფრანგ კოლონიზატორთა მოქმედების წინააღმდეგ.

„79 ქვეყნის მშრომელთა წარმომადგენლები, რომლებიც ესწრებიან პროფკავშირთა მსოფლიო ფედერაციის მიერ მოწვეულ პროფკავშირთა III მსოფლიო კონგრესს, — ნათქვამია, კერძოდ, ამ დოკუმენტში, — პროტესტს აცხადებენ ამის წინააღმდეგ, რომ საფრანგეთის მთავრობა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის რეკომენდაციის, საერთაშორისო შეთანხმებათა და გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდების დარღვევით მაროკოში იყენებს ძალას, რამაც გამოიწვია მაროკოს ათასობით პატრიოტისა და პროფკავშირული მოღვაწის დაპატიმრება, ასობით მათგანის მოკვლა“.

კონგრესმა გაერთიანებული ერების ორგანიზაციას მიმართა მოწოდებით მოსთხოვოს საფრანგეთის მთავრობას დაუყოვნებლივ გაათავისუფლოს დაპატიმრებული პატრიოტები, გააუქმოს ყველა „საგანგებო ღონისძიება“ და მაროკოში დააბრუნოს ყველა გადასახლებული; პატივისცემით მოეკიდოს დემოკრატიულ და პროფკავშირულ თავისუფლებებს; დაიწყოს ხალხის ნამდვილ წარმომადგენლებთან მოლაპარაკება, რომლის მიზანი იქნება მაროკოელთა ეროვნული მოთხოვნების განხორციელება ხალხთა თვითგამორკვევის უფლების შესაბამისად.

შემდეგ განგრძობილ იქნა დი ვიტორიოს მოხსენების განხილვა.

ტრინიდადის მშრომელ ქალთა წარმომადგენელმა პერლ ბრაწშმა მკვეთრი პროტესტი განაცხადა ბრიტანეთის გვიანაში ინგლისის ხელისუფალთა თვითნებური მოქმედების წინააღმდეგ.

ესპანეთის საყოველთაო მუშათა კავშირის აღმასკომის წევრმა ამარო დელ როსალმა ილაპარაკა ფრანკოს ფაშისტური რეჟიმის წინააღმდეგ ესპანელ მშრომელთა ბრძოლაზე, ესპანეთში საგეფიცო მოძრაობის ზრდაზე, მოქმედების ერთიანობისადმი მშრომელი მასების მისწრაფებაზე.

საბჭოთა პროფკავშირების წარმომადგენელმა ლ. სოლოვიოვმა აღნიშნა, რომ იმ წინადადებებს, რომლებსაც ი. ვიტორიოს მოახსენება, შეიცავს, დიდი მნიშვნელობა აქვს სოციალურ-ეკონომიურ უფლებათა და ეროვნული დამოუკიდებლობისათვის მშრომელთა ბრძოლის გასაძლიერებლად.

საბჭოთა დელეგაციის წარმომადგენელმა განაცხადა, რომ სსრ კავშირის მშრომელები მუდამ სოლიდარული იყვნენ და იქნებიან კაპიტალისტური და კოლონიური ქვეყნების მშრომელებთან მათს ბრძოლაში სოციალურ-ეკონომიური უფლებებისათვის, დემოკრატიულ თავისუფლებათა და ეროვნული დამოუკიდებლობისათვის.

სიტყვა ეძლევა საფეიერო და სამკერვალო მრეწველობის მშრომელთა საერთაშორისო გაერთიანების (პროფკავშირთა მსოფლიო ფედერაციის საწარმოო განყოფილება) თავმჯდომარეს ტერეზა ნოჩეს (იტალია). იგი ლაპარაკობს იტალიის, საფრანგეთის, ჰოლანდიის, ბრაზილიის, სამხრეთ აფრიკის, დასავლეთ გერმანიისა და სხვა კაპიტალისტური ქვეყნების ფეიერთა საგაფიცო ბრძოლაში მოქმედების ერთიანობის განხორციელებაზე.

კოპენჰაგენის მეფუნთუშეთა პროფკავშირის თავმჯდომარის იდმეტ ლინდჰარდის გამოსვლის შემდეგ დელეგატმა მორენომ (ბელგია) განაცხადა, რომ 14 ოქტომბრის საღამოს კონგრესის სახელზე მიღებულია 1.040 მისასალმებელი წერილი, დეპეშა და მიმართვა. რაც მოწმობს კონგრესის მუშაობისადმი ყველა ქვეყნის მშრომელთა მზარდ ინტერესს.

სიტყვას ამბობს ალეირელ მშრომელთა წარმომადგენელი დენაშური მარუზი. იგი ლაპარაკობს მაროკოელ მშრომელთა მძიმე ეკონომიურ მდგომარეობაზე, უმუშევრობის ზრდაზე, სოციალური დაზღვევის სისტემის უქონლობაზე, ტერორსა და პატრიოტების დევნაზე.

მაგრამ, ამბობს მარუზი, ტერორისა და რეპრესიების მიუხედავად, პროფკავშირული მოძრაობა მაროკოში იზრდება. ეს აშფოთებთ ფრანგ კოლონიზატორებსა და მათს ხელქვეთებს, რომლებიც ისწრაფვიან ძალით ჩაახშონ მუშათა მოძრაობა.

რეიკიავიკის ფაბრიკების მუშების პროფკავშირის თავმჯდომარე ბ. ბიარნასონი კონგრესს მიესალმა ისლანდიელ მშრომელთა სახელით

ბიარნასონმა განაცხადა, რომ წელს ისლანდიელმა მშრომელებმა თავიანთ მთავრობას დადებინეს სავაჭრო შეთანხმება საბჭოთა კავშირთან, რაც მეტად ხელსაყრელია ისლანდიისათვის. თუმცა ისლანდიის მოსახლეობა მცირერიცხოვანია, განაგრძო ბიარნასონმა, ჩვენ იმავე ბრძოლას ვეწევით, რასაც ჩვენი ძმები და დები ეწევიან სხვა კაპიტალისტურ ქვეყნებში. ისლანდიელი ხალხის ბრძოლა ამერიკელ ოკუპანტთა წინააღმდეგ მშვიდობისათვის საერთაშორისო მუშათა კლასის ბრძოლის ნაწილია. თუმცა რეაქციულმა ძალებმა დროებით მოახერხეს ჩვენი პროფკავშირული ცენტრი ჩამოშორებინათ პროფკავშირთა მსოფლიო ფედერაციისათვის, ისლანდიელი მშრომელები მიაღწევენ ამას, რომ დაბრუნდნენ მშრომელთა ამ მსოფლიო ორგანიზაციის რიგებში.

დომინგოს რესპუბლიკის მუშათა კლასის წარმომადგენელმა რაულ დურანმა განაცხადა, რომ რესპუბლიკის მშრომელები ენერგიულ ბრძოლას ეწევიან ამერიკის შეერთებულ შტატებთან სამხედრო შეთანხმების წინააღმდეგ, რომლის ძალითაც დომინგოს ტერიტორია გადაქცეულია ამერიკის სამხედრო ბაზად.

ჰოლანდიელ მშრომელთა წარმომადგენელმა თქვა, რომ კონგრესზე იგი გამოგზავნეს იმ საწარმოს მუშებმა, სადაც იგი მუშაობს, რადგან პროფკავშირულმა ხელმძღვანელობამ კონგრესის მიმართ უარყოფითი პოზიცია დაიკავა. როგორც ცნობილია, 1949 წელს ჰოლანდიის პროფკავშირთა გაერთიანებამ მიიღო გადაწყვეტილება პროფკავშირთა მსოფლიო ფედერაციიდან გამოსვლის შესახებ. შევადარე რა ჰოლანდიელ მშრომელთა ბრძოლა სხვა ქვეყნების მუშათა კლასის ბრძოლას, ამბობს ჰოლანდიელი მუშების წარმოგზავნილი, დავრწმუნდი, რომ იმ ჰოლანდიელ მშრომელთა საბრძოლო სულისკვეთება, რომლებიც პროფკავშირთა მსოფლიო ფედერაციას არ ემხრობიან, მათ აახლოებს ამ ორგანიზაციასთან.

გერმანელ მშრომელთა დელეგაციის წარმომადგენელმა რუდოლფ დეტერმა თავისი სიტყვა მოუძღვნა 17 ივნისის ფაშისტური პროვოკაციის მხილებას.

გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის ახალი კურსი, საზგასმით აღნიშნა დეტერმა, ხელს შეუწყობს გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მშრომელთა ცხოვრების პირობების შემდგომ გაუმჯობესებას და უფრო ხელსაყრელ პირობებს შექმნის გერმანელთა შორის ურთიერთგაგების მისაღწევად.

გერმანიის ერთიანი პროფკავშირული დელეგაცია მიესალმება სსრ კავშირის წარმომადგენლის ნ. მ. შვერნიკის წინადადებას, რომ კონგრესმა მხარი უნდა დაუჭიროს დასავლეთ გერმანიის მშრომელებს ფაშისტური რეაქციის შემოტევის წინააღმდეგ ბრძოლაში.

დილის სხდომაზე უკანასკნელი გამოვიდა მადაგასკარის პროფკავშირთა გაერთიანების საკოორდინაციო კომიტეტის დელეგატი ეტიენ რანდრიამანაზო, რომელმაც მადაგასკარელი ხალხის მსაბის სახელით კონგრესს მიმართა მოწოდებით მოითხოვოს პოლიტიკური პატიმრების, მათ შორის ბევრი პროფკავშირული ხელმძღვანელის ამნისტია, რომლებიც მადაგასკარზე დაპატიმრეს 1947 წლის ამბებთან დაკავშირებით.

უშიშროების საბჭოში

ნიუ-იორკი, 16 ოქტომბერი. (საკ.ესი). 15 ოქტომბერს დღისით სსრ კავშირის დელეგაციის თხოვნით მოწვეულ იქნა უშიშროების საბჭოს სხდომა. დღის წესრიგში საკითხი: „ტრიესტის თავისუფალი ტერიტორიის გუბერნატორის დანიშვნა. საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის მუდმივი წარმომადგენლის 1953 წლის 12 ოქტომბრის წერილი უშიშროების საბჭოს თავმჯდომარის სახელზე“.

უშიშროების საბჭოსადმი მიმართულ ამ წერილთან ერთად წარდგენილია სსრ კავშირის დელეგაციის რეზოლუციის პროექტი ტრიესტის თავისუფალი ტერატორიის გუბერნატორის დანიშვნის საკითხზე.

გახსნა რა საბჭოს სხდომა, მისმა თავმჯდომარემ დანიის წარმომადგენელმა ბორბერგმა მოწოდებით მიმართა საბჭოს წევრებს დღის წესრიგის გამო თავიანთ გამოსვლებში მისდიონ განსახილველ საკითხს, სახელდობრ, დღის წესრიგის დამტკიცების საკითხის პროცედურულ მხარეს.

ამერიკის შეერთებული შტატების წარმომადგენელმა ლოჯმა, რომელაც პირველმა აიღო სიტყვა, ანგარიში არ გაუწია თავმჯდომარის მოწოდებას. მან მოურიდებლად დაიწყო საბჭოთა დელეგაციის წერილის და სსრ კავშირის რეზოლუციის პროექტის გაკრიტიკება და ისე დაშორდა საკითხს, რომ ისეთ საკითხსაც კი შეეხო, როგორიც არის კორეის საკითხი, რასაც საერთო არაფერი აქვს ტრიესტის თავისუფალი ტერიტორიის გუბერნატორის დანიშვნასთან.

ამერიკის შეერთებული შტატების დელეგატმა დაიწყო იმის მტკიცება, რომ „შეერთებული შტატების და ინგლისის მიერ ტრიესტის შესახებ მიღწეული გადაწყვეტილება“ იმის „ცდაა, რომ განმტკიცდეს სტაბილურობა ევროპის მეტად მნიშვნელოვან ნაწილში და მიღწეულ იქნას მეტად მწვავე პრობლემის მტკიცე გადაწყვეტა“. ამის შემდეგ მან საბჭოთა წინადადება — განხილულ იქნას ტრიესტის თავისუფალი ტერატორიის გუბერნატორის დანიშვნის საკითხი და ამ საკითხზე შეტანილი სსრ კავშირის დელეგაციის რეზოლუციის პროექტი — შეაფასა როგორც „ფანდი“ და როგორც „პროპაგანდის საშუალება“. ლოჯი უსაფუძვლოდ უარყოფდა იმ ფაქტს, რომ შეერთებულმა შტატებმა და ინგლისმა ტრიესტის რაიონი ამერიკა-ინგლისის სამხედრო და სამხედრო-საზღვაო ბაზად გადაქციეს და რომ თავიანთი ამასწინანდელი გადაწყვეტილებით ტრიესტის თავისუფალი ტერიტორიის დანაწილების შესახებ ისინი საფრთხეს უქმნიან მშვიდობასა და უშიშროებას ამ რაიონში. იგი ამასთან ამტკიცებდა, რომ საბჭოთა კავშირი თითქოს პირველად აცხადებდეს, რომ ტრიესტის რაიონი შეერთებულმა შტატებმა და ინგლისმა გადააქციეს სამხედრო ბაზად. უფრო მეტიც, ლოჯი ამტკიცებდა, რომ იგი „წინააღმდეგობას“ ხედავს სადავო საკითხების მშვიდობიანი გზით მოწესრიგების შესაძლებლობის შესახებ საბჭოთა მთავრობის განცხადებასა და სსრ კავშირის დელეგაციის მიერ უშიშროების საბჭოში ტრიესტის თავისუფალი ტერიტორიის გუბერნატორის დანიშვნის საკითხის დასმას შორის. ამერიკის შეერთებული შტატების წარმომადგენელმა თავისი გამოსვლა დამთავრა განაცხადებით იმის შესახებ, რომ იგი „არ ეწინააღმდეგება წარმოდგენილი პუნქტის შეტანას დღის წესრიგში“.

უპასუხა რა ამერიკის შეერთებული შტატების წარმომადგენელს, ა. ი. ვიშინსკიმ ყურადღება მიაქცია იმას, რომ ლოჯი თავის გამოსვლაში დაშორდა საპროცედურო საკითხის განხილვის ფარგლებს. სსრ კავშირის წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ ლოჯი შეცდომას უშვებს, როცა ლაპარაკობს საბჭოს დღის წესრიგში ტრიესტის საკითხის შეტანაზე. ასეთი ამოცანა ამჟამად სრულიადაც არ დგას საბჭოს წინაშე — ტრიესტის საკითხი უკვე რამდენიმე წელია აღნიშნულია უშიშროების საბჭოს დღის წესრიგში. საქმე ეხება მხოლოდ იმას, რომ ეს საკითხი განვიხილოთ დღევანდელ სხდომაზე. ვიშინსკიმ ცხადყო უსუსურობა ლოჯის განცხადებისა იმის შესახებ, რომ ამერიკის შეერთებული შტატებისა და ინგლისის მთავრობათა გადაწყვეტილება — ტრიესტის თავისუფალი ტერიტორიის „ა“ ზონა გადაეცეს იტალიას — მიზნად ისახავს იმას, რომ საკითხი მოწესრიგდეს მშვიდობის ინტერესებისათვის ევროპის ამ რაიონში. მიზანი სხვა იყო, თქვა ვიშინსკიმ, იგი მოკლედ არის აღნიშნული სსრ კავშირის მიერ წარმოდგენილი რეზოლუციის პროექტში. მეორე მხრივ, ის მოვლენები, რომლებიც ახლა იუგოსლავიაში ხდება, იმას მოწმობენ, რომ ამერიკის შეერთებული შტატებისა და ინგლისის გადაწყვეტილებამ სინამდვილეში გამოიწვია პოლიტიკური დაძაბულობის გაძლიერება, რაც საფრთხეს უქმიდის მშვიდობასა და უშიშროებას ევროპის ამ რაიონში.

ვიშინსკიმ ცხადყო აგრეთვე, რომ უსუსურია ლოჯის მეორე განცხადებაც იმის შესახებ, თითქოს სსრ კავშირის მიერ წარდგენილი რეზოლუცია მიზნად ისახავდეს პროპაგანდას. არ შეიძლება პროპაგანდად ჩათვალოს ის, რომ ამერიკის შეერთებული შტატებისა და ინგლისის მხრივ დარღვევისაგან ვიცავთ საზღვო ხელშეკრულებას, რომელსაც ბევრ სხვა ქვეყანასთან ერთად ხელი მოაწერეს ამერიკის შეერთებულმა შტატებმა და ინგლისმა. ვიშინსკიმ დოკუმენტებით ცხადყო, რომ, წინააღმდეგ ლოჯის მტკიცებისა, სსრ კავშირს უკვე დიდი ხანია და არაერთხელ აღუნიშნავს, რომ ტრიესტი გადაქცეულია ამერიკის შეერთებულ შტატებისა და ინგლისის უკანონო სამხედრო ბაზად. ბატონ ლოჯს, განაგრძო ვიშინსკიმ, მისი მრჩევლები უმზადებენ არაკეთილსარისხოვან ცნობებს (დარბაზში სიცილია). შემდეგ ვიშინსკიმ განაცხადა: „ბატონ ლოჯს, როცა იგი თავის თავს ნებას აძლევს ილაპარაკოს რაღაც „ფანდზე“, ალბათ ასეთი განცხადება მიაჩნია დიპლომატური ტაქტის მწვერვალად. იგი ლაპარაკობს რაღაც ფანდებზე, მაშინ, როცა საქმე ეხება საზავო ხელშეკრულების დაცვას, რომელსაც ხელი მოაწერეს აგრეთვე შეერთებულმა შტატებმა, რომლებიც ახლა უარს ამბობენ ამ ხელშეკრულებაზე, რადგან დაარღვიეს საერთაშორისო სამართლის ერთ-ერთი ძირითადი პრინციპი — „ხელშეკრულებანი შესრულებულ უნდა იქნან“.

„ჩვენ გვეუბნებიან, — განაგრძო ვიშინსკიმ, — რომ ის, რასაც ჩვენ მოვითხოვთ, ეწინააღმდეგება სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის გ. მ. მალენკოვის განცხადებებს მშვიდობიანი თანაარსებობის შესახებ. სწორედ პირიქით, ჩვენ მოვითხოვთ ტრიესტის საკითხის განხილვას, სწორედ იმიტომ, რომ ჩვენ ვესწრაფვით მშვიდობიან თანაარსებობას სხვა სახელმწიფოებთან და გვსურს თავიდან ავიცილოთ ყველა დაბრკოლება, რომელიც კი შეიძლება წარმოიშვას ამ გზაზე. მაგრამ ვინღა უარყოფს, რომ ერთ-ერთი სერიოზული დაბრკოლება შეიძლება იყოს და არის ამჟამად ტრიესტის რაიონში შექმნილი ვითარება“.

ვიშინსკის გამოსვლის შემდეგ საბჭომ ერთხმად დამტკიცა დღის წესრიგი.

შემდეგ სიტყვა მიეცა სსრ კავშირის წარმომადგენელს განსახილველი საკითხის არსის შესახებ.

უშიშროების საბჭოს შემდეგი სხდომა გაიმართება 20 ოქტომბერს.

გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მოსახლეობის ცხოვრების დონის შემდგომი ამაღლების ღონისძიებანი

ბერლინი, 16 ოქტომბერი. (საკ.ესი). აღნ-ის საგენტომ გამოაქვეყნა ცნობა, რომ 15 ოქტომბერს გაიმართა გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს სხდომა, რომელზეც მიღებულ იქნა დადგენილება იმის შესახებ, რომ განხორციელდეს მთელი რიგი ახალი ღონისძიებანი რესპუბლიკის მოსახლეობის ცხოვრების დონის შემდგომი ამაღლებისათვის.

სხდომამ, კერძოდ, მიიღო გადაწყვეტილება მოსახლეობის გადასახადების შემცირების შესახებ. შრომითი შემოსავლის გადასახადით დაბეგვრის შეცვლის შესახებ შესაბამისი დადგენილება ძალაში შევა 1953 წლის 1 ნოემბრიდან. დადგენილება ითვალისწინებს, რომ მნიშვნელოვნად შემცირდეს მუშათა და მოსამსახურეთა გადასახადის ოდენობა. ამის შედეგად მშრომელთა წლიური შემოსავალი 450 მილიონი მარკით გადიდდება. დადგენილებაში გათვალისწინებულია აგრეთვე ეშრომელთა წინადადებანი იმის შესახებ, რომ გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაში გამარტივდეს საერთო საგადასახადო კანონმდებლობა.

მინისტრთა საბჭომ განიხილა აგრეთვე მოსახლეობის ელექტროენერგიით უზრუნველყოფის გაუმჯობესების საკითხი. სხდომაზე, გარდა ამისა, განხილულ იქნა ვაჭრობისა და მომარაგების სამინისტროს მუშაობა ახალი კურსის განხორციელების ამოცანების მიხედვით.

საბერძნეთ-ამერიკის შეთანხმების წინააღმდეგ

საბერძნეთის მშვიდობის მომხრეთა კომიტეტის განცხადება

ათენი, 16 ოქტომბერი. (საკ.ესი). გაზეთი „ავგი“ იუწყება, რომ საბერძნეთის მშვიდობის მომხრეთა კომიტეტმა გამოაქვეყნა განცხადება, რომელშიც ნათქვამია:

საბერძნეთის მშვიდობის მომხრეთა კომიტეტმა განიხილა, მდგომარეობა, რომელიც წარმოიშვა მთელი ჩვენი ეროვნული ტერიტორიის უცხო სახელმწიფოს სამხედრო ბაზად გადაქცევის შედეგად, და აღნიშნავს, რომ ეს ფაქტი ჩვენი ეროვნული დამოუკიდებლობის უხეში დარღვევა და მშვიდობის წინააღმდეგ უაღრესად სერიოზული აქტია.

საბერძნეთის მთავრობის მიერ სხვა სახელმწიფოს შეიარაღებული ძალებისათვის განსაკუთრებულ უფლებათა მინიჭება არა მარტო ფეხქვეშ თელავს ბერძენი ხალხის კონსტიტუციურ უფლებებს, არამედ დამოკიდებულ ქვეყანადაც ხდის საბერძნეთს და აუქმებს მის ეროვნულ დამოუკიდებლობას. ეს აქტი მთლიანად ეწინააღმდეგება ჩვენი ქვეყნის სახელოვან ისტორიას, ბერძენი ხალხის ბრძოლას თავისი თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის და მის მისწრაფებას მშვიდობისადმი.

კომიტეტი მოუწოდებს ბერძენ ხალხს თავიდან აიცილოს პარლამენტის მიერ ამერიკა-საბერძნეთის შეთანხმების დამტკიცება და მიიღწიოს მის გაუქმებას.

საფრანგეთის ეროვნულ კრებაში

პარიზი, 16 ოქტომბერი. (საკ.ესი). საფრანგეთის ეროვნულ კრებაში გრძელდება ლანიელის მთავრობის სასოფლო-სამეურნეო პოლიტიკის განხილვა. საგულისხმოა, რომ მთავრობის პოლიტიკას ამ საკითხში გმობენ არა მარტო პროგრესული ჯგუფის დეპუტატები, არამედ მემარჯვენე პარტიების დეპუტატებიც, რადგან მათ აღარ შეუძლიათ დაფარონ საფრანგეთის სოფლის მეურნეობის მძიმე მდგომარეობა. ეროვნული კრების გუშინდელ სხდომაზე მთავრობის პოლიტიკა სოფლის მეურნეობის დარგში გააკრიტიკეს სოციალისტმა გიიმ, რადიკალმა კაიავემ, სოციალისტმა პინომ და „დამოუკიდებელმა“ ლიოტემ.

კომუნისტი დეპუტატი ანდრე ტორნე შეეხო საფრანგეთის მეღვინეობის კრიზისის საკითხს. მან თქვა, რომ ღვინის დასამზადებელი ფასები განსაკუთრებით მცირეა, მაშინ, როცა მომხმარებელი იძულებულია მეტად მაღალ ფასებში იყიდოს ღვინო. ეს ამ დიდი გადასახადებით აიხსნება, რომლებიც 44-ჯერ აღემატება ომამდელი დროის საგადასახადო დაბეგვრის დონეს. ტორნემ აღნიშნა, რომ მთავრობის მიერ მეღვინეობის შესახებ ამას წინათ გამოცემული დეკრეტი მიმართულია წვრილ და საშუალო მეღვინეთა მასის წინააღმდეგ. კომუნისტური პარტიის საპარლამენტო ჯგუფის სახელით ორატორმა შეეტანა წინადადებანი, რომლთა მიზანია საფრანგეთის მეღვინეთა მდგომარეობის გაუმჯობესება.

კორეაში დაზავების გამო

პეკინი, 16 ოქტომბერი. (საკ.ესი). სინხუას საგენტოს ცნობით, გუშინ დაზავების სამხედრო კომისიის კორეა-ჩინეთის დელეგაციამ გადაქცევა კომუნიკე, რომელშიც ნათქვამია, რომ 15 ოქტომბრიდან კორეისა და ჩინეთის წარმომადგენლები იწყებენ ახსნა-განმარტებითის მუშაობას იმ კორეელ და ჩინელ სამხედრო ტყვეთა შორის, რომელთა უშუალოდ რეპატრიაცია არ ხდება. იმის შედეგად, რომ ამერიკის მხარე ახორციელებს ახსნა-განმარტებითი მუშაობისათვის შენობების აგების მიმართ სრულიად გაუმართლებელი გაჭიანურების ტაქტიკას, ამ მუშაობის დაწყება შეფერხდა 20 დღით.

კომუნიკეში მოყვანილია შემთხვევები, რომ ამერიკის მხარემ დაარღვია ნეიტრალური სარეპატრიაციო კომისიის კომპეტენციის შესახებ შეთანხმების პირობები. „ამერიკელები, — ნათქვამია კომუნიკეში, — აგვიანებდნენ ახსნა-განმარტებითი მუშაობის დაწყებას და უგულებელყოფდნენ ნეიტრალური სარეპატრიაციო კომისიის 24 სექტემბრისა და 3 ოქტომბრის გადაწყვეტილებებს ახსნა-განმარტებითი მუშაობის ვადის შესაბამისი გაგრძელების შესახებ, რათა შეემცირებინათ 90 დღის ვადა, რაც გათვალისწინებულია ნეიტრალური სარეპატრიაციო კომისიის კომპეტენციაზე შეთანხმების პირობებით.

კორეა-ჩინეთის მხარეს, აღნიშნულია კომუნიკეში, მიაჩნია, რომ მთელი პასუხისმგებლობა ახსნა-განმარტებითი მუშაობის დაგვიანებისათვის ეკისრებათ ამერიკელებს და რომ ახსნა-განმარტებითი მუშაობის ვადა შესაბამისად უნდა გაგრძელდეს ნეიტრალური სარეპატრიაციო კომისიის მიერ მიღებულ გადაწყვეტილებათა თანახმად“.

მოსკოვის საბჭოს სახელოვნის მოსკოვის დრამატული თეატრის გასტროლები გულგარეთში

სოფია, 15 ოქტომბერი. (საკ.ესი). ბულგარეთში ბულგარეთ-საბჭოთა კავშირის მეგობრობის ერთთვიურთან დაკავშირებით საგასტროლოდ ჩამოსულმა მოსკოვის საბჭოს სახელობის მოსკოვის დრამატულმა თეატრმა სოფიაში მაყურებელს უჩვენა ბალ-ბელოცერკოვსკის „შტორმი“, შექსპირის „ოტელო“, სუროვის „მოსკოვის განთიადი“, ლერმონტოვის „მასკარადი“ და თავისი რეპერტუარის სხვა სპექტაკლები.

სოფიის მოსახლეობა უდიდესი ინტერესით შეხვდა საბჭოთა თეატრის გამოსვლებს.

თეატრის მსახიობებმა გამართეს აგრეთვე კონცერტები ბულგარეთის დედაქალაქის საწარმოებსა და კლუბებში.

გუშინ მოსკოვის საბჭოს სახელობის თეატრი გაემგზავრა ბულგარეთის სხვა ქალაქებში. თეატრი მოიკლის პლოვდივს, გაბროვოს, ქალაქ სტალინს, პლევენს, ბლაგოევგრადსა და რუსეს.

თბილისი

თბილისის გალნეოლოგიური კურორტი



ფეხგზურთი

საქართველოს პირველობის გათამაშება

საქართველოს 1953 წლის პირველობის გათამაშების მეორე წრის კალენდარული შეხვედრები გაიმართა თბილისში, ქუთაისში, ზუგდიდში, ხაშურში, ბორჯომში, წითელწყაროში.

სუხუმის „დინამომ“ მოუგო ხაშურის „ლოკომოტივს“ ანგარიშით 1:0, ბათუმის დინამოელებმა დაამარცხეს მათი ზუგდიდელი თანაკლუბელები 2:1. ბორჯომის ნაკრებმა მოუგო თელავის „დინამოს“ 5:0, თბილისის 26 კომისრის რაიონის გუნდმა — გორის „დინამოს“ 1:0, ქუთაისის „დინამოსა“ და მახარაძის რაიონის „კოლმეურნის“, აგრეთვე წითელწყაროს „ნეფტიანიკისა“ და თბილისის „მედიკის“ გუნდების შეხვედრები დამთავრდა ფრედ.

„კოლმეურნის“ საკავშირო ჩემპიონატი

გუშინ თბილისის „დინამოს“ სტადიონზე საზეიმოდ გაიხსნა ზონალური ასპარეზობა ფეხბურთში ნებაყოფლობითი სასოფლო სასპორტო საზოგადოება „კოლმეურნის“ ცენტრალური საბჭოს 1953 წლის პირველობაზე. მოეწყო ფეხბურთელთა კოლექტივების პარადი, აღმართულ იქნა ალამი.

ზონალურ შეჯიბრებაში მონაწილეობას იღებს „კოლმეურნის“ 1952 წლის ჩემპიონი — უკრაინის გუნდი, აგრეთვე საქართველოს ფეხბურთელთა კოლექტივი, რომელმაც გასული წლის პირველობის გათამაშებაში მეორე ადგილი დაიკავა, მოლდავეთის, სომხეთისა და აზერბაიჯანის გუნდები. ზონალური შეჯიბრება ტარდება აგრეთვე ვილნიუსსა და ფრუნზეში. გათამაშება მიმდინარეობს წრიული სისტემით ერთ წრედ. გამარჯვებული ორ-ორი გუნდი (სულ 6) ერთმანეთს შეხვდებიან ფინალში.

პირველი შეჯიბრება გაიმართა აზერბაიჯანისა და სომხეთის გუნდებს შორის. საინტერესო ბრძოლა დამთავრდა ფრედ 1:1.

გუშინ გაიმართა აგრეთვე მეორე შეხვედრა საქართველოსა და მოლდავეთის ფეხბურთელთა კოლექტივებს შორის. თამაში საქართველოს ფეხბურთელთა უპირატესობით მიმდინარეობდა და მათივე გამარჯვებით დამთავრდა ანგარიშით 6:2.

სალხური სიმღერები

კომპოზიტორმა გ. კოკელაძემ საქართველოს ხალხური შემოქმედების რესპუბლიკურ სახლს გადასცა თავის მიერ ჩაწერილი რამდენიმე ქართული ხალხური სიმღერა. მათ შორის საინტერესოა ომერული სიმღერა „ყანური“, აფხაზური — „შინანა“, აგრეთვე „გმირთა რისხვა უოლსტრიტელ ყაჩაღს“ — ტექსტი ე. სახოგაშვილისა, მელოდიის ავტორი პ. ბუხაიძე, ძველი აჭარული „მაყრული“ და სხვ., სულ 16 სიმღერა.

მშრომელთა ჯანმრთელობის დაცვას ემსახურება თბილისის ბალნეოლოგიური კურორტი, სადაც მკურნალობენ საბჭოთა მედიცინის მოწინავე მეთოდებით.

კურორტში მთავარი სამკურნალო ფაქტორია ძველთაგანვე განთქმული გოგირდოვანი წყლები. აქ მუშაობს ფიზიოთერაპიული მკურნალობის, გინეკოლოგიური, მექანოთერაპიის, სამასაჟო, რენტგენის, საინჰალაციო, კლინიკურ-დიაგნოსტიკური და ბიოქიმიური განყოფილებანი, არის სამკურნალო ფიზკულტურის დარბაზი. წელს აქ საგზურებით უკვე იმკურნალა 10 ათასამდე კაცმა.

ახლახან აქ გაიხსნა ჰიდროპათიის განყოფილება, რომელსაც ახალი მოწინავე სამედიცინო აპარატურა აქვს.

ბალნეოლოგიური კურორტი დღეღამეში ატარებს 3-დან 5 ათასამდე კომპლექსურ პროცედურას.

თბილისის ბალნეოლოგიურ კურორტში სამკურნალოდ ჩამოდიან ჩვენი ქვეყნის ყველა კუთხიდან — მოსკოვიდან, ლენინგრადიდან, შორეული აღმოსავლეთიდან, უკრაინიდან, ეს ტონეთიდან და სხვ.

სურათზე: კურორტის საერთო ხედი.

ფოტო ვ. ზარიძისა.

სასამართლოს დარბაზიდან

გამოუსწორებელი ბოროტმოქმედი

— ბოდიში, რომ გაწუხებთ, რომელი საათია?

— საღამოს ათი საათი და თორმეტი წუთია, — თავაზიანად უპასუხა უცნობ მოქალაქეს ი. ჯიოევამ. თანამგზავრმა ვ. მაგრაქველიძემაც იგივე დადასტურა და სკა-ბაასი განაგრძეს გზა. ცხრაძმის ქუჩას რომ მიუახლოვდნენ, უცნობი მოქალაქე აჩქარებული ნაბიჯით კვლავ წამოეწიათ:

— ცოდი ხასიათი მაქვს, ჩემი თვალით თუ არა ვნახე საათი, ისე მის ნაჩვენებ დროს ვერ დავუჯერებ, — ღიმილით თქვა და გამვლელებს მაჯაზე მგლის თვალით დააშტერდა.

— უცნაური თვისება გქონიათ! — უპასუხეს.

— მეორედ რომ აღარ შეგაწუხოთ, საათები უსიტყვოდ მოიხსენით. — ბორტმოქმედმა ნოდარ ბაღდოს-ძე მირუაშვილმა უმალვე გრძელტარიანი დანა იძრო, წინააღმდეგობის გაწევისათვის ი. ჯიოევას ჭრილობაც მიაყენა...

დამნაშავე მიიმალა, მაგრამ მალე შეიპყრეს.

მრავალჯერ ნასამართლევი, გამოუსწორებელი ბოროტმოქმედის ნ. მირუაშვილის საქმე ამ დღეებში გაარჩია თბილისის მოლოტოვის რაიონის პირველი უბნის სახალხო სასამართლომ. სასამართლომ მძარცველ ნ. მირუაშვილს მიუსაჯა 15 წლის პატიმრობა და სასჯელის მოხდის შემდეგ სამი წლით საარჩევნო ხმის უფლების ჩამორთმევა.

ა. სხვაველი.

რედაქტორი დ. მჟელლიშვილი.

ოპერისა და ბალეტის თეატრი

18 ოქტომბერს	დღის 12 საათზე ლ. დელიბი — ლაკმე საღამოს ა. ბალანჩივაძე — მთვარის გული
20 ოქტომბერს	პ. ჩაიკოვსკი — პიკის ძალა

დასაწყისი საღამოს 8 საათზე.

თბილისის სახელმწიფო ცირკი

დღეს დიდი საცირკო წარმოდგენა 3 განყოფილებად

მონაწილეობენ ჩინეთის და კორეის მხატვრები, აგრეთვე საბჭოთა ცირკის წამყვანი ოსტატები

დიდი პაროდი-პროლოგი „ხალხთა მეგობრობა“

დასაწყისი საღამოს 8 ს. და 30 წ.

დღეს, 18 ოქტომბერს, დღის 2 საბავშვო წარმოდგენა. დასაწყისი I—12 ს., II—3 ს. ბილეთები იყიდება სახელმწიფო ცირკის სალაროებში. მიიღება შეკვეთები კოლექტიურ დასწრებაზე.

ბავშვები 16 წლამდე საღამოს წარმოდგენაზე არ დაიშვებიან.

თბილისის ფოსტამტი და ქალაქის კავშირგაბმულობის განყოფილებები 1953 წლის 1 დეკემბრამდე იღებენ ახალი ბილის ამანათებს წონით 15 კილოგრამამდე.

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტი აცხადებს, რომ ა. წ. 10 ნოემბერს დღის 3 საათზე სამეცნიერო საბჭოს ღია სხდომაზე ინსტიტუტის აუდიტორიაში (მელიქიშვილის ქუჩა № 10) **დავით საბას-ძე ციბაძე** მედიცინის მეცნიერებათა დოქტორის ხარისხის მოსაპოვებლად დაიცავს დისერტაციას თემაზე: „მასალები თირკმელის კოლატერალური სისხლის მიმოქცევის შესახებ“.

ოფიციალური ოპონენტები: საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილი წევრი პროფესორი კ. დ. ერისთავი, მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე პროფესორი ე. ბ. თოდაძე და მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი შ. ს. თოიძე.

ა. წ 17 ნოემ